# სახალხო გაზეთი

№ 694 შაბათი, 8 სექტემბერი 1912 წ. № 694

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ.. უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. მერედაქტორთან პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისოვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 11 სექტემბერს.

## ამ ნომერში ექვსი გვერდია.


### იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზავნოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

### სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს 1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს, დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა ფოსტის მარკა.

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სტამპურში.


ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 9 ენკენისთვეს, დიდუბის ეკლესიაში, გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის პროფესორის

## ალექსანდრე სოლომონის ძის ხახანაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 ს. (2.1486.1)

---

ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე, მეუღლე მისი ანნა ავქსენტის ასული კიკნაძისა, თავისი შვილებით მწუხარებით აუწყებს, ყველა ნათესავთა და ნაცნობთ, უდროვოთ გარდაცვალებას, საყვარელ დედის მსგავს

## ნატალია ექვთიმეს ასულის კურცხალიასას.

და გთხოვთ, მობრძანდეთ და დაესწროთ გამოსვენებას, 11 სექტემბერს, დღითი სამშაბათს, სოფელ ბაბში. დილის 10 საათზედ. (1.666.1.)

---

შაბათს, 8 ენკენისთვეს, სოფ. წვერში, დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

## ვასილ აბელის ძის კალატოზიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ, განსვენებულის რძლები იულია მელქისედეკის ასული, ალექსანდრა სარდიონის ასული, და ელისაბედ აბელის ასული, ძმა აბელ აბელის ძე, და შვილი კონსტანტინე ვასილის ძე. (1.657.1)

---

ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ნატალია ექვთიმეს ასული კურცხალიასი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი პავლე იოსების ძე კურცხალია, და სთხოვს მათ, რომ მობრძანდნენ საკუთარს სახლში დასაფლავების დღეს, სოფელ ბაბს 11 ამა ენკენისთვეს, სამშაბათს, დილის 10 საათზე. (2.663.1)

---

ელენე ივანეს ასული, ზურაბ და მიხეილ გიორგის ძენი ენდრონიკაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი-დაუვიწყარ შვილისას და მეორენი—ძმისას

## ივანე გიორგის ძის ენდრონიკაშვილისას.

წირვა და დაკრძალვა ს. ოჟიოში, 8 სექტემბერს. (1.664.1)

---

ნინო სტურუასი და ძენი და ასულნი მისნი—ისიდორე, ანტიოხე, დავითი, პარასკევა მეგრელიშვილისა, ეკატერინე თებზაძისა, აგრაფინა და დუნია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი ქმრის და დაწარჩენები ძვირფასი მამის

## ივანე სტურუას

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა დ. სამტრედიაში, ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე დანიშნულია კვირას, 9 ენკენისთვეს. პანაშვიდები ყოველდღე საკუთარ სახლში, საღამოს 5 საათზე. (2.1490.1)

---

სტეფანე პეტრეს ძე სტურუა და მეუღლე ამისი დომნა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი ძმის და მეორე ძვირფასი მაზლის

## ივანე სტურუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა დ. სამტრედიაში, ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე დანიშნულია კვირას, 9 სექტემბერს. პანაშვიდები ყოველ-დღე საკუთარ სახლში, საღამოს 5 საათზე. (1.1490.1)

---


საზაფხულო **ახალი კლუბი** თეატრი.

კვირას, 9 სექტემბერს, ერთად-ერთი გასტროლი კლასსიკური ცეკვაობის შემსრულებლის

**ვანდა ორლიჩისა.**

მაზურკა ვიენიავსკის; ნერეიდა-რებიკოვისა; ვალსი-ტისტი-ხრელიუსისა; მელოდია მასსენე; ქიპსის ცეკვა სენ-სენსისა და სხვა. **დასაწყისი საღამოს 9 საათზე.** წარმოდგენის შემდეგ გაიმართება **საცეკვაო საღამო;** ცეკვაობა ევროპიული და ჩვენებური; **საზანდარი.** ადგილების ფასი თეატრში ერთი მანეთი და ხუთი შაურიდან ხუთ შაურამდის; სტუმრები იხდიან კლუბში შესვლის ფასს: კაცები ერთ მანეთს, ქალები ათ შაურს, სტუდენტები 25 კაპ. (1.1463.1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ძლენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11 1/2—12 საათ.
**დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ბ.** (ყოველ დღე) 12 1/2—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11 1/2—12 1/2.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკაია-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თაკაიშვილი ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12 1/2—12 ს.
**მიქელაძე შ. ბ.** (ყოველ დღე) 12 1/2—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10 1/2—11.
**დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2 1/2—3.

**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2 1/2.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1 1/2.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,, **6 0 6** '' **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 2010.103)

## სასტუმრო უნივერსალი

(ძველად ,,მუხრანის ნომრები'') **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად სახერხოა ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივანებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 80 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. ტელეფ. № 499. (25.1481.2)

შეიძლება დაკვეთა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.**
**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** **ერევანში--ელენე ვირსალაძესთან**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**
**გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია პეტელიშვილთან**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—153—3)


ზუბალაშვილების სახალხო სახლი

14 სექტემბერს, შუადღ. 12 საათ. **ქ-ნი ბარბარე ხერხეულიძე** წაიკითხავს ქართულად **ლ ე ქ ც ი ა ს** და საკუთარ ლექსებს.

ლექციის საგანი: **„ცოცხალი გვამი''.** პროგრამა: 1. შესავალი, 2. მოვალეობა თანამედროვე კაცისა, 3. თვისება პროტასოვის პიროვნებისა, 4. თვისება საშუალო პირთა, 5. პროტასოვი, როგორც შეგნებული მომკვდი დამნაშავე, 6. საყურადღებო მიზეზები თვითმკვლელობისა, 7 დირებულება სიცოცხლისა, 8. უმთავრესი აზრი პიესისა, 9. ლიზა პროტასოვისა, როგორც მსახური სხვების ... 10. დასკვნა, **ლექსები**. „სულ მეცინება", 2. „ადამიანი'', კოლცოვიდან. ადგილების ფასი 5—50 კ. (2.663.1)

---

—✦ ქ. გ ო რ შ ი ✦—

## ე. თარხან-მოურავის ქალთა სახელოსნო სკოლა

**ამით აცხადებს,**

რომ 20 მარიამობისთვიდან დაიწყო მიღება. 12 წლ. ნაკლები არ მიიღება. 12 წელზედ ზემოდ წლოვანობა განსაზღვრული არ არის. უპირატესობა ეძლევა წერა-კითხვის არ მცოდნეს. აქვე მიიღებიან მოწაფენი ბინითაც. დაწვრილებით პირობების გაგება წერილობით და პირადად. მისამართი: სამეფო ქუჩა, ერისთავის სახლში № 18. (6.1491.1)

---

## ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა იწვევს მასწავლებელს

**სოფ. შრომის** (სიღნაღის მაზრაშია) **სკოლისათვის.**

მასწავლებელს ექნება ჯამაგირად 360 მანეთი წელიწადში, ბინა და შეშა. (2.1492.1)

---

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების

## თელავის განყოფილების სკოლა

**იწვევს მასწავლებელს** პირველ განყოფილებისათვის, წელიწადში ჯამაგირად იქნება 300 მ., და ბინა გათბობა-განათებით. თხოვნები მიიღება განყოფილების გამგეობაში ქ. თელავში--15 სექტემბრამდე. (2.1488.2)


მიიღება ხელის მოწერა

## „მოლიპულ გზაზე" ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რ ო მ ა ნ ი)

**600** გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა ,,იმერეთში'' და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ ,,ქართლის'' კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. ,,იმერეთის'' ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасіи Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—1456—6)

„ტფილისის ქართულ საამხანაგო

## მომღერალ-მგალობელთა გუნდი",

(დაარსებული 1910 წ.)

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მას ჰყავს **25—50 კაცამდის შემდგარი, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებით გამოწყობილი გუნდი,** რომელსაც ლოტბარობს **მიხეილ კავსაძე.** გუნდი **1 ენკენისთვიდან** განაგრძობს თვის მოქმედებას. ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, მონაწილეობს კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე და სხვ. როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. გუნდის მიწვევა, ახალ წევრთა მიღება და ყოველივე პირობების გაგება იკითხეთ: 1. გუნდის გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჭრელაშვილთან,** სადგ. მახლობ. ანდრეევის ქ., № 87. 2 მის ამხანაგ **ნოე ეგნატეს ძე ლეჟავასთან,** კვირაცხოვლის ქ., № 28, და 3. **მიხეილ კავსაძესთან,** ავჭალის მოედანი № 11.

**ვაარსებთ ქართველ მუშათა მომღერალ გუნდსაც.**

(10.1449.7) **გუნდის გამგეობა.**

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9 1/2-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.
**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.
**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1/2 ს.
**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.
**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.
**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11 1/2—1 ს.
**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 2—3 საათ.
**ერმოლაევი** -ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1 1/2 ს.
**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.
**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606'' -ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. (თ—366. 263)

**ექიმი** ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—7 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.8)

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ახლოზლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 8, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 377)

დაიბეჭდა და **გასასყიდად გამოვიდა**

წ ი გ ნ ი

**„დებულებანი ამიერ კავკასიის გამიჯვნის საქმისა",**

(„Положеніе о размежеваніи закавказскаго края")

**მესამე გამოცემა შესწორებული** ალ **თვალსაჩინოდ შევსებული** ახალ განმარტებითა და **1897** წ. მაისის 26-ს გამცემულ კანონთა დებულების ჩართობით, რომელიც გამიჯვნის საქმების საშუალებას ეხება. შეადგინა **კ. ე. დოლგოვმა,** ტფ. სამოსამართლო პალ.-ტის წევრმა. **ფასი 1 მ. 50 კ.** წიგნის საწყობი წიგნის ცენტრალურ სავაჭროში, ტფილისში, გოლოვინის პროსპექტი. (4.1485.2)

**ელექტრონისა და რენტგენის**

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. **12—1** ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20.** (წ.—1022—2)

**ვაგზლის კერძო საავადმყოფო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაზაძიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ძმიშვილი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“-ით.**

(ტლ—1018—73).

**ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.**

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9.

(25.595.18)

**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.192)

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე (ტ—10.49—137)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. იღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1176—407)

**ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე**

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე

**ექიმ ი. ე. ჯაში-ს კაბინეთი**

შინაგანი და ღედ. ავადმყ., სადოსტაქრო ავადმყ. ამბულატორიით მიიღებს **15 სექტემბრიდან** —დილ. 8—11 საათ.; საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. (25.1480.4)

**ექიმი ს. ი. გძელიშვილი**

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—4)


# ქართული პრესა

„დილა“ სცდილობს თავი იმართლოს იმ ბრალდებაში, რომელიც ჩვენ წავუყენეთ. მაგრამ თავის მართლება ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს თითონაც არა სჯერათ თავისი სიტყვებით. „დილა“-მ, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, საბუთი რომ შემოაკლდა, ჭორებით მოისურვა ბ-ნ კიტა აბაშიძის გაშავება. როდესაც საარჩევნო კრებების ისტორია გაიხსენა, ჩვენც მოვაგონეთ ის როლი, რომელიც „დილა“-ს პუბლიცისტებმა ითამაშეს. მაშინ მათ მხარი დაუჭირეს ისეთს ადამიანს, როგორიც დავ. ნიჟარაძეა, ფართოდ გაუხსნეს რედაქციის კარები და მით გვერდით ამოუდგნენ იმ ურეაქციონერეს ელემენტებს, რომელნიც ქუთაისის საზოგადოების პროგრესიულ ნაწილს ებრძოდნენ. სხვა რომ ვეღარაფერი მოუხერხებია, „დილა“ ამნაირი სასაცილო სიტყვებით გვაძლევს პასუხს:

„მართალია ჩვენი მიმართულების გაზეთებში მაშინ დაიბეჭდა პოზიციის ბელადის წერილი, მხოლოდ მის არჩევნების შემდეგ და ისიც შენიშვნით, რომ რედაქცია ამას ბეჭდავს მხოლოდ იმისთვის რომ საშუალება მისცენ თავის დაცვის“.

ჰოი, უმანკოებავ! რა იქნებოდა ნეტავი, წყალ-წაღებული „სარედაქციო შენიშვნა“ რომ არა ყოფილიყო? მერე განა „შენიშვნა“ ისეთი რამ არის, რაც რედაქციას პასუხისმგებლობისაგან ანთავისუფლებს? რით ხელმძღვანელობდა რედაქცია, როდესაც ურეაქციონერეს ნაწილს მხარს უჭერდა? სად იყო მაშინ ან თქვენი „დემოკრატობა“, ან თქვენი „პრინციპიალობა“. სჯობიან გაჩუმდეთ.

* *
*

გაზეთი „კოლხიდა“ „დილა“-ს საპასუხოდ სწერს:

„გაზ. „დილა“, ოღონდ თავის მოპირდაპირე სადეპუტატო კანდიდატს სახელი გაუტეხოს, ყველაფერს კადრულობს, არაფერ საშუალებას არ ერიდება. მაგალითად, კიტა აბაშიძე ამოუღიათ ნიშანში და სცდილობენ მის სახელს ჩირქი მოსცხონ. არასოდეს კიტა აბაშიძეს იმის მსგავსი არაფერი უთქვამს, რასაც სწამებენ, მართალია თავ. დავ. ნიჟარაძის საპროტესტო დემონსტრაციას არ აჰყვა, მაგრამ, თუ ხსენებულ სასაცილო დემონსტრანციაში „დილელები“ პოლიტიკურ ბრძოლასა ჰხედავენ და არა პირადს ანგარიშებს, და თუ ის ტაქტიკა, რომელსაც თავ. დავ. ნიჟარაძის ჯგუფმა მოჰმართა, დემოკრატისთვის საკადრისი ჰგონიათ,—გზა დაგვილოცავს. ჩვენ ამ გზით სიარულს არა ვჩვეულვართ“.

დასასრულ „კოლხიდა“ ურჩევს ამომრჩევლებს, მხარი დაუჭირონ კიტა აბაშიძეს და „მის მაგინებელთ კი ზურგი შეაქციოს“.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბოროდინოს დღესასწაულზე მთავრობას სახელმწიფო სათათბიროს წევრები როდი მიუწვევია. მიიწვია მხოლოდ სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო, მაშინ, როდესაც მთელი სახელმწიფო საბჭო იქ იყო. როძიანკოს შეურაცხყოფილად უგრძვნია სათათბირო და სულ არ დასწრებია ბოროდინოს დღესასწაულსა. განსაკუთრებით სწყენია როძიანკოს ის რომ მთავრობამ თითქოს ხაზი გაუსვა სათათბიროსა და საბჭოს არასწორუფლებიანობასო. ამ შემთხვევის გამო „ცნობილი“ მენშიკოვს საბჭოსათვის მუშტრის თვალით შეუხედნია და შემდეგსა სწერს:

როგორიც უნდა იყოს საბჭოს შრომის ნაყოფი, მაინც ასის წლის მისი მოღვაწეობის შედეგი—ჩვენი სახელმწიფოებრიობის ძირიანი დაავადება არის, ის დაავადება, გარედ რომ შეგვარცხვინა და შინ საქმე გაგვიფუჭა.

გარდა ამისა, ამ პალატის კანონმდებელთა ჭკუა და ნებისყოფა სიახლეს ვერ დაიკვეხებს. ერთის მხრით აღსანიშნავია ეს დაწყევლილი სიბერე, მეორის მხრით ხანგრძლივი, მთელის ცხოვრების ნაკარნახევი ჩვეულება და უნარი უფროსების სურვილის წინადვე გაგებისა, „ჭკუას ძალას ნუ ატანთ, რასაც გიბრძანებენ ის აასრულეთო“, აი რა ვერ დაუვიწყნიათ.

ძალიან კი გამოცოცხლდნენ რუსეთში ზოგიერთნი, მაგრამ არჩევნების სული ყველაზე ძლიერად ეტყობა, მენშიკოვს უგრძვნია; თორემ ასე, რა აალაპარაკებდა...

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **გორის ეპისკოპოსი ანტონი** გუშინ ტფილისიდან კახეთს გაემგზავრა.

✦ **პანაშვიდი.** 6 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, პრემიერ-მინისტრის პ. ა. სტოლიპინის მოკვლის წლის თავზე, რუსულ კლუბში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

✦ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი,** რომელიც სამსახურის საქმეთა გამო დუშეთის მაზრაში იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

✦ **ნ. ფ. რუდოლფი,** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, 11 აგვისტოს ტფილისიდან მიემგზავრება.

✦ **უმაღლესი სასწავლებელი ტფილისში.** 10 სექტემბერს კრება ექნება უმაღლეს სასწავლებლისთვის მზრუნველს მთავარს კომიტეტს.

✦ **წვრილ კრედიტის** საქმეთა მთავარმა სამმართველომ ნება დართო, წვრილ კრედიტის ამხანაგობანი დაარსონ წინწყაროსა (გორის მაზრა) და ნორიოში.

✦ **სამართალში აძლევენ** ტფ. მოქალაქეს რაისა მანიევისას, რომელმაც პოლიციელს ქრთამი შეაძლია.

✦ **სალიტერატურო-სამუსიკო დილა.** დღეს, შუადღისას, 12 საათზე, სახალხო სახლში სალიტერატურო და სამუსიკო დილა გაიმართება. მონაწილეობას იღებენ მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, მესკრიპკე თამარ ძნელაძე, ქართველ მომღერალთა გუნდი და სხვანი.

✦ **მეცხვარეობის გამოფენაზე,** მოსკოვს, კავკასიიდან ასი სული ცხვარი გაჰგზავნეს.

✦ ტფილისში უკვალოდ დაიკარგა დიმიტრი მიროშნიჩენკო.

✦ 6 სექტემბერს ტფილისში შეიპყრეს 26 უპასპორტო.

**სასწავლებლებში.**

✦ **ახალი სკოლა.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას მთავრობამ ნება დართო, სოფელ შრომაში (სიღნაღის მაზრა) პირველ-დაწყებითი სკოლა დაარსოს.

✦ **გომარეთის სკოლის** შენობის გადასაკეთებლად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 100 მან. გადასდო.

✦ **ავლაბრის საქალებო პროგიმნაზიის** მასწავლებელთა შტატი უკვე შეავსეს.

**სიღნაღი**

✦ **გაზეთ „ხმა კახეთისა“,** რომელიც 2 სექტემბერს უნდა გამოსულიყო, დროებით შეჩერებულ იქმნა ტეხნიკურ დაბრკოლების გამო. გაზეთი მოკლე ხანში გამოვა.

— **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგ. სიღნაღის განყოფილების** წევრთა საერთო კრება 16 სექტემბერს მოხდება.

# ჟურნალისტის დღიური

82.

**მოწამლული ფსიხოლოგია.**

ერთს სტუდენტს ველაპარაკე. ღარიბი იყო, მაგრამ მაინც არა იმდენად, რომ იმაზე ღარიბი სხვა აღარ მოიძებნილიყო. შინაური ოჯახური გარემოება ცოტა აეწეწ-დაეწეწა და იმანაც დაიწყო სტიპენდიის ძებნა. მიჰმართა ერთს დაწესებულებას, მეორეს, მაგრამ ვერსად ვერაფერს გახდა. იმედ-გაცრუებული და ამრეზილი დადიოდა, როდესაც ქუჩაში შევხვდი და გამოველაპარაკე. ჯერ უხალისოდ მიპასუხებდა, მერე კი უფრო თამამად ალაპარაკდა და მთელი თავისი გულის ნადები გულწრფელად გადამიშალა. მისი ნალაპარაკევი იმდენად დამახასიათებლად მიმაჩნია, რომ არ შემიძლიან ცოტა ვრცლად არ მოვიყვანო. „ამის შემდეგ, კიდევ მომთხოვენ, საზოგადოებას ვემსახურო და იმას შევალიო ჩემი ძალ-ღონე,—მითხრა ზემოხსენებულმა სტუდენტმა.—რა უფლებით უნდა მომთხოვონ? წვითა და დაგვით გავათავე საშუალო სასწავლებელი, მესამე კურსებამდე მივედი და ეხლა იძულებული ვხდები ქუჩა-ქუჩა ვეხეტიალო. სად არის საზოგადოება? რატომ არ დამეხმარება? რატომ საშუალებას არ მომცემს, სწავლა დავასრულო? სადაც მივედი, ყველგან კარები გამომირახუნეს, ვისთანაც მივედი, ყველამ მხრები აიჩეჩა და ხეირიანად დალაპარაკებაც კი არ ისურვა ჩემთან. რა უნდა ვქნა ეხლა? რომელ კლდეს მივაწყდე? მაგრამ არა უშავს რა, ღმერთი მოწყალეა? როგორც იქნება კურსსაც დავასრულებ, მაგრამ სამაგიეროდ აღარავინ გამიბედოს და კრინტიც არ დასძრას საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. საზოგადოება არა ჰფიქრობს ჩემთვის, მაშ მარც მე ვიფიქრებ. ჩვენი ახალგაზდობა გადაგვარებულია, რუსეთში იხიზნებაო. ახია თქვენზე! ვენაცვალე იმ ახალგაზდას, რომელსაც იმდენი გამბედაობა ექნება, რომ ზურგი შემოგაქციოს!“

ამას რომ ამბობდა, მეტის სიბრაზით ყბები ელრიცებოდა და თვალებშიაც ერთივე ბოროტი ღიმილი უთამაშებდა: გამოკამათება მეტად მიმაჩნდა, და ამიტომ საჩქაროდ განვშორდი.

ნუ გგონია, მკითხველო, რომ ასე მარტო ჩემი ნაცნობი სტუდენტი ჰფიქრობს. ასეთი აზროვნება დამახასიათებელი თვისებაა მოსწავლე ახალგაზდობის დიდი უმრავლესობისა. საზოგადოებრივი სამსახური, მათის წარმოდგენით, საქონელია, რომლის გაცვლა-გამოცვლაც შესაძლებელია. მათ ჰსურთ საზოგადო სამსახურში, რომელიც ყოველ შეგნებულ ადამიანის სულიერ **მოთხოვნილებას** წარმოადგენს, ჯილდო მიიღონ. თუ ჯილდოს მომცემთ, მე გავიმსჭვალები საზოგადოების სიყვარულით, თუ არა და—მისი მტერი გავხდები. ავიწყდებათ ამისთანა პირებს, რომ საზოგადოებრივი სამსახური სავაჭრო საქონელი კი არ არის, არამედ შეგნებულ ადამიანის განუყოფელი, მასთან შედუღებული ნაწილი. ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე მხოლოდ ის არის, ვის ბუნებაშიაც საზოგადოებრივი სამსახური მეორე არსებად გადაქცეულა, ვისაც ვერ შეუძლიან სიცოცხლე, გარეშე საზოგადოებრივობისა. ამისთანა შემთხვევაში ადამიანი შრომობს არა იმიტომ, რომ საზოგადოებისაგან რაიმე ჯილდო მიიღოს,—სულ ერთია რაშიაც უნდა გამოიხატოს იგი ჯილდო,—არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს მისი საკუთარი ბუნება, მისი საკუთარი ბედნიერება. იგი მხოლოდ მაშინ არის ბედნიერი, როდესაც საზოგადოების სამსხვერპლოზე სწვამს თავის სიცოცხლეს. ადამიანის უმაღლესი ჯილდოც ხომ ეს ბედნიერებაა... **შინაური.**

# საარჩევნო სამზადისი

**სამღვდელობა და არჩევნები.**

მაკარი გნევუშევის გარდა სინოდმა დაამტკიცა კანდიდატურა, მოსკოვიდან, დეკ. ვოსტორგოვისა, ზნამენსკისა და მისიონ. აივაზოვისა.

**ცხრათვის ამომრჩეველი**

სამოქალაქო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანონისაგან არ არის განსაზღვრული ამომრჩევლის წლოვანება, საკმაოა მხოლოდ ცენზი გქონდეს; ამ გარემოებამ ისეთი უცნაურობა გამოიწვია არჩევნების დროს, რომელიც ძნელი დასაჯერებელია. მაგ. ამრჩეველთა სიაში მოხვდნენ ექვსისა, ცხრისა და 10 წლისანი—საარჩევნო კანცელარიის ქაღალდებიდან გამორკვეულა, რომ წარსულ არჩევნებში ქალაქის ერთი ამომრჩეველი ცხარა თვისა ყოფილა.

**„მოკავშირეთა“ ყრილობა.**

მოსკოვის „მოკავშირეებს“ ამ დღეებში განუზრახავთ საარჩევნო კრება, რომელზედაც მოუწვევიათ მოსკოვის ყველა მონარქიული კავშირი. კრება, მიუხედავად დიდი აგიტაციისა, რიცხვმცირე ყოფილა, ამათშიც თურმე ქალები და ბავშვები სჭარბობდნენ. პირველი სიტყვა დეკ. ვოსტორგოვს წარმოუთქვამს. მას „მწუხარებით“ აღუნიშნავს ის ფაქტი, რომ მოსკოვის მონარქიულ ორგანიზაციებს შორის სრულიად გაწყვეტილია ყოველგვარი კავშირი და ერთობა. მას შემდეგ ულაპარაკნია ვექილ ბობროვს, რომელსაც იგივე აღუნიშნავს და მოუწოდებია დამსწრენი ერთსულოვნობისაკენ წინამდებარე არჩევნების დროს. კრება ბუნდოვანი სურათების ჩვენებით დასრულებულა.

# საყურადღებო დღესასწაული.

მომავალ წლის სექტემბერში სწორედ ოცდა ათი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დაარსდა. დიახ, 1883 წელს სექტემბრის თვეში დუშეთის მაზრის ერთ-ერთ სოფელში, სახელდობრ წინამძღვრიანთ-კარში, ეროვნული დღესასწაული იყო; ამ დღეს აკურთხეს ეს მადლიანი სკოლა, ამ დღეს ეღირსა ამ მხრის სოფლელებს პირველად სკოლის კარების ნახვა, ამ დღეს მიჰხვდა აქაური გლეხკაცობა, რომ მათაც აქვთ სწავლის მიღების უფლება. ამ დღეს, ე. ი. სკოლის კურთხევის დღეს, აქაურ გლეხობას პირველად ესმა ქართველთ ბუმბერაზი მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მქუხარე მადლიანი ისტორიული სიტყვა. ამ დღეს სოფელმა პირველად ნახა ჩვენი ქვეყნის მოღვაწენი ერთად შეკრებილი, ყველა მხიარული, ყველა სკოლის გახსნას აღტაცებით ეგებებოდა და ულოცავდა ადგილობრივ მცხოვრებთ ამ სამარადისო სასარგებლო აკვნის დაარსებას. დიახ, ბატონებო, ეს დღე არამც თუ აქაურებისათვის, არამედ მთელი ქართველი ერისთვის „მზიანი, ნათელი დღე იყო“. ამ დღეს დაარსდა საქართველოს პირველი ეროვნული სკოლა, უფასო ყველასათვის ხელმისაწდომი და საჭირო.

ეს შესძლო ერთმა პატარა, მაგრამ დიდბუნებოვანმა ადამიანმა, თავის ქვეყნის უსაზღვროდ მოყვარულმა მამულიშვილმა ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილმა. ზედმეტია აღვნიშნოთ ილიას ამაგი. მის მიერ ნამოქმედ-ნაღვაწი ყველასათვის თვალსაჩინოდ მჭერმეტყველებს; მგონი ყველამ კარგადაც იცის, თუ რა შესძლო ამ ერთად-ერთმა კლდე ადამიანმა. მე მინდა საზოგადოების ყურადღება სხვა რამეზე მივაქციო. მე მინდა ყველას დავასწრო და ხმამაღლა მოვიწოდო ყველა ქართველი, რომ მომავალი წლის სექტემბრის თვე ღირსეულად ვიდღესასწაულოთ. ერთი წლით წინ ამას იმიტომ ვაცხადებ, რომ შევემზადოთ და ამ სკოლის 30 წლის არსებობა და მისი სულის ჩამდგმელის, მისი ერთგული მოჭირნახულე ილიას მოღვაწეობა ღირსეულად აღვნიშნოთ. მე ვფიქრობ, ამისთვის დრო გვეყოფა, მხოლოდ საჭიროა ერთი მეორის გამოხმაურება დღესასწაულის, საერთო გეგმის შედგენა და მისი სასახელოდ და სასარგებლოდ შესრულება.

ჩვენის მხრით დიდი უბედურება იქნება 30 წლის შემდეგ მაინც მოხუც ილიას ამაგი არ დაუფასოთ და სიცოცხლეშივე გულითადი მადლობა არ უთხრათ.

მაშასადამე, ჩვენ უნდა შევაერთოთ ორი იუბილეი: ილიას მოღვაწეობისა და სკოლის არსებობისა. ერთიცა და მეორეც ისე უნდა გამოვიყენო როგორც ეს ჩვენს მომაგე ილიას შინაარსიან ცხოვრებას შეეფერება. ჩემის აზრით დღესასწაულის გამართვა, მისი თაოსნობა და მოწყობა, სხვების დახმარებით, უნდა ვიკისროთ უმთავრესად ამ სკოლის ყოფილმა მოწაფეებმა და მასწავლებლებმა. რაც შეიძლება ამ დღესასწაულს უნდა მიეცეს ფართო სახალხო და მასთან **სამეურნეო** ხასიათი. ამისათვის დაუყონებლივ უნდა შესდგეს კომიტეტი. ამ კომიტეტმა უნდა ასწეროს ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა, სკოლისა და მის მოკეთეთა ისტორია· გამოიმუშაოს თვით დღესასწაულის წეს-რიგი. რომ დღესასწაულს **სამეურნეო** ხასიათი მიეცეს, რასაც მე მგონი მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს, ამისათვის საჭიროა ყველა, ვინც კი ამ სკოლაში ვსწავლობდით, იმათ მაინც დღესასწაულის დღეს ერთად თავი მოვიყაროთ, ჩვენს აღმზრდელს ამაგისათვის მადლობა უთხრა და თვითეულმა ჩვენთაგანმა წარმოადგინოს მოხსენება და თავის ამხანაგებს გააცნოს, თუ რა გაუკეთებია და სხ. ყოველივე ამით გამოირკვევა სკოლის ღირსება — ნაკლიც... ჩვენც ერთი მეორეს ვნახავთ, გავმხნევდებით, ერთი მეორის გამოცდილებით ვისარგებლებთ, ჩვენის შეკრებით კი ჩვენს უანგარო აღმზრდელ ილიასაც მოხუცების წამებს დაუტკბობთ.

ვსთხოვ ყველა ქართულ გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

**აპოლონ ძულაძე.**

# ქართველ საზოგადოებას

ათი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ს.-პეტერბურგში, შემდეგ მძიმე ავადმყოფობისა, გარდაიცვალა საქართველოს ნიჭიერი შვილი, მგოსანი თ. გრიგოლ დავითის ძე აბაშიძე. პეტერბურგის ქართველობამ, რომლის უმრავლესობას ღარიბი ქართველი მოსწავლე ახალგაზდობა შეადგენს, ძლივ-ძლივობით მოახერხა უსახსრობის გამო, განსვენებული მგოსნის დასაფლავება. საქართველოდან მაშინ იწერებოდნენ: მგოსანი **დროებით** დაასაფლავეთ პეტერბურგში, რადგან აქ ფულს ვაგროვებთ, რათა მგოსნის ნეშთი წამოვასვენოთ სამშობლოში დასაკრძალავადო. მაგრამ განვლო ათმა წელმა, და გრ. აბაშიძე დღესაც იქ განისვენებს, სადაც ქართველმა ახალგაზდობამ დროებით დაასაფლავა. განზრახვა განზრახვად დარჩა, საქმე მიყუჩდა, როგორც, ჩვენდა სავალალოდ, ბევრი რამ მიყუჩებულა და მივიწყებულა ჩვენში! წლევანდლამდის გრ. აბაშიძის საფლავი, რომელსაც ერთი მტკაველი ადგილი უჭირავს რუს მწერალთა და მოღვაწეთა შორის ცნობილ „Волково“-ს სასაფლაოზე და რომელსაც ერთი და დამპალი ხის ჯვარი „ამშვენებდა“ რუსულის წარწერით: „თავ. გრიგოლ აბაშიძე“,—ეს საფლავი პეტერბურგის ქართველობის მიერ მივიწყებული იყო. წელს კი მოსწავლე ახალგაზდობამ მოიწადინა ათის წლის გულ-გრილობის შედეგი გაესწორებინა: განსვენებულის საფლავზედ ახალი ჯვარი დასდგა, საფლავს მოაჯირი შემოავლო და განსვენებულ მგოსანს მრავალ ქართველობის თანადასწრებით პანაშვიდი გადაუხადა. ამასთანავე ქართველმა ახალგაზდობამ აირჩია კომიტეტი, რომელსაც მიანდო დაუყოვნებლივ შეუდგეს ზრუნვას, რათა მგოსნის ნეშთი წაასვენოს საქართველოში და დაკრძალოს იქ, სადაც ჟღერდა სამშობლოსათვის გრ. აბაშიძის ნაზი ჩანგი. ეს ვალად სძევს არა მარტო მოსწავლე ახალგაზდობას, არამედ მთელს ქართველ საზოგადოებას მისთვის ჭირნახულს, მისთვის „ცრემლშეუშრობელ“ მგოსნის წინაშე. ამასთანავე ამ ვალის აღსრულება ზნეობრივად გამხნევებს ყველას, ვინც იღწვის ეროვნულ ასპარეზზედ, და უჩვენებს, რომ ქართველობა არ დაივიწყებს თვისთა შვილთა ღვაწლსა და შრომას და უკანასკნელს, საუკუნო სავანეს განუმზადებს სამშობლოს წიაღსა შინა და არა უცხო მხარეს, უცხოთა შორის!..

მივმართავთ ქართველ საზოგადოებას და მოვუწოდებთ მას დაგვეხმაროს ამ საქმეში, რათა კომიტეტმა [illegible] სრულჰყოს [illegible] საქმე. [illegible] ბოთ კომიტეტი [illegible] ცხადებს, რომ ფულის შეკრების გასაადვილებლად მან მიმართა თხოვნით სხვა და სხვა პირს საქართველოს დაბა-ქალაქებში, რათა თავს იდვათ ფულის შეკრება ადგილობრივ შემომწირველთა შორის. ამ ჟამად კეთილ-ინებეს და დახმარება აღგვითქვეს:

**თბილისში:** კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასულმა მაჩაბლისამ და თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილმა.

**ქუთაისში:** გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩმა და თავ. კიტა აბაშიძემ.

**ბათომში:** სიმონ გურგენის ძე მდივანმა.

**სოხუმში:** თავ. ნიკოლოზ ყარამანის ძემ თავდგირიძემ.

**საჩხერესა და ჭიათურაში:** კნ. ელისაბედ გიორგის ასულმა წერეთლისამ და თავ. ალექსანდრე სვიმონის ძემ წერეთელმა.

**ფოთში:** კონსტ. გამყრელიძემ.

**ბაქოში:** თავ. პლატონ ლევანის ძემ გელოვანმა.

**კომიტეტის წევრნი: ა. ი. ჯაფარიძე, პ. ი. ქავთარაძე, ნ. ა. ყიფშიძე,. ა. ბ. მხეიძე.**

P. S. ვთხოვთ ყველა ქართულ გაზეთს გადაბეჭდოს ეს მოწოდება.

# აღმზრდელთა კავშირის თაოგაზე

გავიხსენოთ განსვენებულ ლევ ტოლსტოის ღრმა აზრიანი სიტყვები: მწერალთა კავშირი—მკითხველთა კავშირის შემქმნელიაო. ეს სიტყვები გამახსენდა, როცა წავიკითხე გაზ. „თემში“ (№ 87) „ახალგაზდა პედაგოგის“ წერილი შემდეგი სათაურით: „ქართველ პედაგოგთა წრის დაარსების საჭიროება“.

ლევ. ტოლსტოის მიბაძვით, შეგვიძლია ჩვენცა ვსთქვათ, რომ ჩვენშიაც აღმზდელთა კავშირი ხალხის კავშირის შემქნელი იქნება.

უცნაური ამბავია. ჩვენში სხვა და სხვა საზოგადოებაა — „საისტორიო საეთნოგრაფიო“, „სამეურნეო“, „საფილარმონიო“ და გვაკლია მხოლოდ ისეთი საზოგადოება, რომელიც ადამიანის ცხოვრების ნამდვილი საფუძვლის შემქმნელ-გამომრკვევი იქნება.

ვინ უარ ჰყოფს იმ დღესავით ნათელ აზრს, რომ ჩვენი ისტორია, ჩვენი ეთნოგრაფია, მეურნეობა და ფილარმონია სწორედ იმგვარად მოეწყობა და განვითარდება, თუ როგორი აღზრდილი და განათლებული იქნება თვითეული ჩვენგანი. ამავ დროს აღმზრდელთა საზოგადოების საჭიროება ყველაზე გვიან იჩენს ჩვენში თავს.

რა არის ამ უცნაურობის მიზეზი, ნუ თუ ჩვენ მტკიცედ ვიცით მეურნეობის, მუსიკის, ისტორია-ეთნოგრაფიის რა და რა ნაყოფია ჩვენთვის საჭირო და არ ვიცით, თუ ჩვენ თვითონ ვისთვის ან რისთვის საჭირონი ვართ, რის ნაყოფი ვართ და განვითარების რა გზას უნდა დავადგეთ, ვიცით რა უნდა ვჭამოთ, რ[illegible] უნდა დაუკრათ, ძველი დროის რა ნაშთებს უნდა მივაქციოთ ყურადღება და მხოლოდ ის არ ვიცით ვართ თუ არა ღირსნი, რომ რამე ვჭამოთ, რაიმე მუსიკა მოვისმინოთ და ამა თუ იმ ისტორიულ ნაშთის მემკვიდრენი გავხდეთ?

ამ უცნაურობის მიზეზი ის არის, ჩემის აზრით, რომ ქართველი კაცი, ჩვენი მოწინავე მოღვაწე, ძნელ საქმეს ინსტინქტიურად გაურბის, ადამიანის აღზრდა-განათლება კი ყველაზე ძნელი საქმეა ამ წუთი სოფელში.

რომ დაუკვირდეთ უცხოეთის ხალხთა ცხოვრებას, ნათლად შევამჩნევთ, რომ ყველაზე მეტი თავისუფლება და ადამიანის მიმართ პატივისცემა იმ ქვეყანაშია, სადაც აღზრდა-განათლება მტკიცე ნიადაგზე დამყარებული. აქ, რასაკვირველია, ინგლისი უნდა ვიგულისხმოთ, ინგლისი, სადაც აღზრდა-განათლების საქმეში თვით ხალხმა, მთავრობის გარეშე, მისგან დამოუკიდებლად თაოსნობის დიდი უნარი გამოიჩინა სხვა და სხვა კავშირები, წრეები მშობელ-აღმზრდელთა შორის აღზრდა-განათლების სათავეში სდგანან.

ჩვენში, სამწუხაროდ, ამის ნასახიც არ არის დღემდის.

ჩვენში ხშირად გაიგონებთ სიტყვებს „ქართველი“, „ქართული“, „ეროვნული“ და სხვა. და როცა მიმართავთ მთქმელს იმისათვის, რომ აგიხსნას რა არის ეს ქართველ—

ქართულ—ეროვნული, იგი ისეთ საცოდავ მსჯელობას იწყებს, რომ სურვილი გებადებათ ყური დაიცვათ და აღარაფერი გაიგონოთ. ეს სიტყვები ჩვენში ჯერ-ჯერობით უშინაარსო ცნებანია, რადგან იმ აღზრდა-განათლებას მოკლებულნი ვართ, რომელიც ამ ცნებათ არკვევს და ნხთელ ჰყოფს.

როცა ინგლისელთა უზარმაზარი გემი „ტიტანიკი" ილუპებოდა და ვაჟკაცი მგზავრები ქალებს უსწრობდნენ ნავებით თავის გადასარჩენად, გემის უფროსმა შესძახა: გაჩერდით, გაიხსენეთ, რომ თქვენ ინგლისელები ხართო! ეს ერთი შეძახება საკმაო იყო, რომ მთელი ეს თავზარდაცემული ხალხი გაჩერებულიყო და ქალებისათვის გზა დაეთმო. სიტყვა ინგლისელი უმაღლეს ადამიანობას ნიშნავდა იმ ტრაგიკულ წუთში.

ამგვარ მდგომარეობაში ჩაცარდნილი ქართველი ხალხით სავსე გემი რომ წარმოვიდგინოთ, დარწმუნებული ვარ, ვერავინ გაგვაჩერებს ჩვენი „ქართველობის" გახსენებით, პირ-იქით შეიძლება კიდევ უფრო აგვაჩქაროს მარტო ჩვენი თავის გადასარჩენად, რადგან სიტყვა „ქართველი" ჩვენში ზნეობრივად წმინდა აღზრდა-განათლების უდიდესი ადამიანობის შემცველი არ არის.

ამგვარ მდგომარეობაში მყოფთ ეჭვი არ არის აღზრდ--განათლების დიად საქმეში შეკავშირება გვჭირია ხოლო არა იმ სახით, როგორც ეს „ახალგაზდა პედაგოგს" განუზრახავს იგი თვის უმთავრეს იმედს სპეციალისტებზე პედაგოგებზე ამყარებს, მე კი უფრო იმ აზრისა ვარ, რომ ამ საზოგადოებას უფრო ვრცელი შინაარსი უნდა მიეცეს და მშობელ-აღმზრდელთა წრე უნდა დაერქვას, რადგან უფრო ხშირად ამ დარგში არა-სპეციალისტი, არა-პედაგოგ—მასწავლებელი სპეციალისტ პედაგოგზე უფრო მოწინავე აზრის კაცია.

მეურნეობაში მაგალითად, ის ადამიანი, რომელსაც ვაზთან არაფერი საქმე არ ჰქონია, ვერ გეტყვის, რაში გამოიხატება ამ მცენარის განვითარების ნაკლი ან ღირსება. თვითეული შეგნებული ადამიანი კი თავის თავს და გარეშე ქვეყანას უკვირდება და ამჩნევს თუ რაში გამოიხატება მისი და მისი მოძმეთა აღზრდა-განათლების ნაკლი ან ღირსება. თქვენ შეგიძლიათ მთელი თქვენი ცხოვრება-განვითარებას ერთხელაც არ დაუკვირდეთ; ამ დარგში მოღვაწეობისათვის მცოდნე კაცია საჭირო, ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია ისე განვლოთ ეს წუთი სოფელი, რომ ჩვენ და ჩვენ მეზობელთა ცხოვრებას არ დაუკვირდეთ, რადგან თავი ჩვენი ყოველთვის ჩვენ გვახლავს და მეზობლებთანაც ყოველთვის სხვა და სხვა საქმე გვაქვს.

ესეც რომ არ არ იყოს, რამდენია ჩვენ შორის მშობელ-აღმზრდელი, რომელთაც ნებითა თუ უნებურად თავის ბავშვების სულიერ და ფიზიკურ ზრდა-განვითარებას უნდა ადევნონ თვალ-ყური. შეგნებული ადამიანი შეიძლება სპეციალისტი არ იყოს, მაგრამ ამ მხრივ მას თვით მშობლის მდგომარეობა გაასპეციალისტებს. მშობლიური სიყვარული ისეთი ძლიერი გრძნობაა, რომელიც უსათუოდ ერთგვარ გამჭრიახობას შესძენს რაიმე თავის პატრონს და აღზრდა-განათლების უდიდეს საკითხზე დააფიქრებს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ დღეს ყველაზე საჭირ-ბოროტო საკითხი სწორედ ეს აღზრდა-განათლების საკითხია.

ჩვენი უძრაობა. მჯერა, დროებითი მოვლენაა. თანდათან ჩვენშიაც გაიღვიძებს წინსვლის, სულიერი წარმატების წყურვილი. თანდათან ჩვენ ცხოვრებსაც დაეტყობა თაოსნობის უნარის, გაღვიძება. მართლაც დროა. სხვების თვალში ცქერას თავი დავანებოთ და მტკიცედ დავიმახსოვროთ ბრძენ შოპენჰაუერის შემდეგი ღრმა საგულისხმიერო სიტყვები: „ყველაზე ბედნიერი ის ქვეყანაა, რომელსაც ან სულ არა, ან არა და მცირედ სჭირია უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი; აგრეთვე ყველაზე ბედნიერი ის ადამიანია, რომელიც თვისი შინაგანი სიმდიდრით კმაყოფილია და თვისი არსებობისათვის ან მცირე რამ, ან სულ არაფერი არ სჭირია გარეშე ქვეყნიდან. უცხოეთიდან საქონლის შემოტანა ძვირად ჯდება, დამოკიდებულების შემქნელია, საფრთხეს აჩენს, შურს იწვევს, ბოლოს-და-ბოლოს კი ადგილობრივ ნიადაგის ნაყოფს ცუდ მაგიერობას უწევს. სხვებისგან, საზოგადოდ, ბევრ არაფერს უნდა მოველოდეთ. ვიწროდ შემოფარგლულია ის წრე, სადაც ერთი ადამიანი მეორეს მხარში უდგია: ბოლოს-და-ბოლოს თვითეული ჩვენგანი მხოლოდ თავის თავს ახლავს და მაშინ მთელი საკითხი იმაშია, თუ ვინ არის ის ადამიანი, რომელსაც ვახლავართ ჩვენ, როცა მარტო ვრჩებით".

**ილია ნაკაშიძე.**

# იცი რა ჰქმენ!..

იცი რა ჰქმენ! იცი რა ჰქმენ! იცი რა ჰქმენ, შე საწყალო!?
ოჰ, რომელი ერთი გითხრა, რომელ ერთი ჩამოვთვალო:—
შენ დამარხე ჩემი სუნთქვა, შენ მე აჩრდილს დამამგზავსე,
შენ მომპარე მგოსნის გული და შენს მკერდში მოათავსე,
შენ გაახმე ვარდის წყალი ოქროს ქარით ოქროს ღამეს,
შენ ჩამოსტეხე მთვარეს ქიმი, მთვარეს ზღვაში მოკამკამეს;
შენ გათოშე ჩემი ტუჩი, როს დააკარ კოცნა ცივი,
შენ მოსწამლე ცეცხლის ტალღა მზის აკორდით განაღვივი,
შენ მკრთალ ნისლის ლეჩაქიდან ამომტყორცნე დილის მზეზე,
შენ გამხადე მე პოეტად შენ დამწვი და წამაქეზე!..
დაიწყევლოს შენი კოცნა, ჩემს სულს შხამად შეძოევლოს.
დაიწყევლოს შეყრის ჟამი, დაიწყევლოს, დაიწყევლოს!

**ი. გრიშაშვილი.**

# მშვიდობით

მშვიდობით გულის ყვავილო, ჩამყუჩებელო წყლულისა,
ჩემო სიცოცხლის ბაღნარო, ქვეყანავ გაზაფხულისა,
თუმც ბედი მიხმობს სხვა მხარეს, მიწვევს ოცნება სულისა,—
თან მიმაქვს ხსოვნის ნუგეშად კავშირი სიყვარულისა.

***

ვიცი შორს დამიღამდება... შევხვდები ჭირს და ზიანსა,
ჩრდილოს ქარ-ბუქი დამიზრობს ოცნებას მსუბუქ-ფრთიანსა,
მაგრამ იქავე მოვისმენ სიტყვას ნათელს და ჭკვიანსა:
მტრისას ვისწავლი და შენთან დღეს გავითენებ მზიანსა.

***

აბა რად მინდა ჩონგური: თუ სუსტი, ძალით მწირია?
—ბნელში ბუ მღერის ოხრათა, შვებით ნავარდობს სირია,
მე-კი სინათლეს დავეძებ, სხივის ფარ-ხმალი მჭირია:
ვინც ცოდნით იცავს სიმართლეს იგი ნამდვილი გმირია!

***

მაშ კვლავ მშვიდობით მშობელო ჩემი ხორცის და სულისა,
ცრემლებზე გაბრწყინვებულო კავშირო სიყვარულისა,
რა გინდ ბედი მხვდეს, ვერ ვპოვო სხვა მადლი სიხარულისა:
შენთან ვიშვი და შენთანვე მარხია ფიქრი გულისა.

**ნ. ჩხიკვაძე.**

# აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

(შემდეგი.*)

**წერილი მეთოთხმეტე.**

(ონის ნადიმი).

შაბათს, 28 ივლისს, რვა საათზე წამოვდექით და ჩაის შემდეგ დავიწყეთ თათბირი ს. სხიერში (სხიერობა 29 ივლისს) წასვლის შესახებ, სადაც მიწვეული იყო მგოსანი ს. ჯაფარიძის ოჯახში. შემდეგ კი, 30 ივლისს, უწერა-გლოლა-ჭიორისაკენაც ვფიქრობდით გამგზავრებას;

*) იხ. „სახ. გაზ." № 692.

გლოლა-ჭიორელები, როგორც გადმოგვცეს, დიდ მზადებაში ყოფილან და გვპირებდნენ ჯიხვ-ირმებით და კალმახებით გამასპინძლებას. ჩვენც ძლიერ გვეინტერესებოდა რიონის სათავეში მდებარე განაპირა ზემორაჭის სოფლების, იქაური მცხოვრებლების დათვალიერება, მათი ზნე-ჩვეულების გაცნობა და ეროვნული სიმღერების მოსმენა. როგორც გადმოგვცეს ონელებმა, ცუდი გზებისა გამო მგოსანს ამ სოფლებში შესვლა მეტად გაუჭირდებოდა, ამის გამო ხმის უმეტესობით გადავწყვიტეთ უკანვე გამობრუნება და ლაილაშში შესვლა, რაც დეპეშით ვაცნობეთ დაპირებისამებრ ლაილაშში თავ. ლევ. დადეშქელიანს. სადილობამდე მგოსანმა ისურვა ფოტოგრაფიული სურათის გადაღება ერთად ონის კომიტეტთან (მოგზაურობის მომწყობი). ნაშუადღევის მეოთხე საათზე მიგვიწვიეს ბაღში მორთულ ფანჩატურში. ქართულად გაშლილ სუფრას სამასზე მეტი კაცი და ქალი მოუსხდა. დანარჩენთათვის გაიშალა სუფრა იქვე მწვანეზე. თამადობა მიულოცეს რაჭის მაზრის წინამძღოლს ექიმს დავ. ჯაფარიძეს. სანამ თამადა სადღეგრძელოს იტყოდა, მგოსანთან გაჩნდა ერთი მოხუცი ზემორაჭველი მესტვირე და შეამკო ქებით; თამადამ დაასაჩუქრა მესტვირე და აიღო ყანწი ხელში; პირველად ადღეგრძელა აკაკი, უსურვა მას კეთილდღეობა და კიდევ დიდხანს სიცოცხლე ქართველ ერის სანუგეშოდ; თამადას სიტყვას მოჰყვა „მრავალ-ჟამიერ" და „ვაშას" ძახილი. ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ უკრავდა ზურნა. ადღეგრძელეს მგოსანი ყოველი მხრიდან: ონის ებრაელთა დეპუტაციამ მოართვა მგოსანს ხონჩით ტორტი, რომელზედაც იყო გამოხატული ჩანგი, სამელნე და კალამი, ამასთანავე მათმა წარმომადგენელმა ახალგაზდა ებრაელმა ფილხაზ შიმშილაშვილმა მიმართა აკაკის შემდეგი სატყვით: „სასიქადულო მგოსანო, საქართველოს მამულიშვილო, ბატონო აკაკი! მე გიახელით თქვენთან, რათა ქართველი ებრაელების მონდობილობით მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა; დიდებულო მგოსანო, მე ვარ ქართველი ებრაელი, თქვენის ნაწარმოებით აღზრდილი და თქვენი ჩანგის ჟღერით დამტკბარი; ამასთანავე უნდა გაუწყოთ, რომ დღეს ჩვენ ქართველი ებრაელები დიდის აღტაცებით და გამოუთქმელი სიხარულით მივეგებებით ერთად ჩვენ ქართველ ძმებთან და მეზობლებთან თქვენ ჩვენში მობრძანებას და ბედნიერ დღეობას. დიდებულო მგოსანო, ჩვენ ებრაელები და ქართველების ცხოვრებაში ისეთი შეთვისება გვაქვს ერთმანეთ შორის, რომ არ განვიყოფებით ერთმანეთისაგან, როგორც ერთი სისხლი და ხორცი, ამიტომ ვალდებულად ვთვლით ჩვენ თავს, რომ ერთად ქართველ ძმებთან, ჩვენ მეზობლებთან მონაწილეობა მიგვეღო ამ თქვენს ბედნიერ დღეობაში და ზეიმში, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა სჯული ნებას არ გვაძლევს, რადგან დღეს შაბათია, ამისათვის ბოდიშს ვითხოვთ თქვენს წინაშე და გთხოვთ მოგვიტევოთ. ამასთანავე ნიშნად პატივისცემისა ებრაელებისაგან გთხოვთ მიიღოთ ეს მცირედი ძღვენი. მუდამ სახეში იქონიეთ, რომ ჩვენ, ებრაელებსა და ქართველებს შორის არ ყოფილა განსხვავება, არ არის და არ იქნება გარდა სარწმუნოებისა.

მგოსანმაც შესაფერისი სიტყვა უთხრა ებრაელს გადაკოცნა ახალგაზდა წარმომადგენელი; ხალხმა დასძახა „ვაშა" და „აკაკის გაუმარჯოს", მეზურნეებმაც დაჰკრეს ტუში. ამის შემდეგ თამადამ დალია სადღეგრძელო კომიტეტების, რომელთაც მოაწყვეს მოგზაურობა, პრესის წარმომადგენლების და სხვათა...

მაზრის უფროსმა ნ. ჩერნოვმა ადღეგრძელა მგოსანი მეტად გრძნობიერი სიტყვით, რაზედაც აკაკიმ უპასუხა მას მოხდენილი სიტყვითვე. მაზრის უფროსის სიტყვამ და აკაკის პასუხმა გამოიწვია დიდი აღტაცება და დაუსრულებელი „ვაშა" და ტაში. მომღერლებმა კორიშელმა, ჩაგუნავამ და გედევანმა საუცხოვოდ იმღერეს სხვა და სხვა ხმები. წარმოითქვა მრავალი საყურადღებო სადღეგრძელოები, გაიმართა ქართული მოლხენა, ეროვნული სიმღერები, ფერხული და ცეკვა-თამაში, ლეკური ზურნაზე; ონის ნადიმი და ყოველივე ესენი გადაიღეს მხატვრებმა. ნადიმმა მხიარულად ჩაიარა ყველა იქ მყოფნი აუწერელ აღტაცებას და სიამოვნებას გრძნობდა, ბუნებაც ხარობდა, ამინდი მშვენიერი იდგა, გრილი საღამო იყო, მთა „შოდა", ლურჯი ნისლით დაფარული, ამაყად დაგვყურებდა: გულის ამატოკებელი ზურნის ხმებს და ონელების ფერხულზე სიმღერას მდ. რიონიც თავისი დუდუნით ხმას აძლევდა, ნელი გამაგრილებელი სიოც არ გვაკლებდა პატივისცემას და მხიარულებას. სადილის გათავებისას მგოსანმა მიმართა ონის საზოგადოებას გამოსათხოვარ სიტყვით:

„ბატონებო! თქვენი მხიარულება გადამედვა. თქვენზე უფრო მეტად მე ვარ აღტაცებული, იმიტომ კი არა, რომ ეს ლიტანია, რომელსაც მე დღეს აქ ვხედავ ჩემგან არის გამოწვეული, არა—სულ სხვა მიზეზით: მე ვხედავ, რომ თქვენ უკვე გამოღვიძებული ხართ, არა ხართ კმაყოფილი აწმყოთი და მიისწრაფებით მომავლისაკენ; თქვენ ეძებთ სწორ გზას, გინდათ გყავდეთ წინამძღოლი, რომ მოგევლინოთ მესია და, ნამეტანი სურვილით გატაცებულნი, აჩქარებულხართ და მე გგონივართ ის წინამძღოლი. მე მისი აჩრდილიც არა ვარ, მე უბრალო წინამორბედი ვარ; ამას მოგახსენებთ წრფელის გულით. ის გმირი, რომელმაც უნდა გასწყვიტოს ჯაჭვი და ამირანი ბუშვას, სხვა არის, მე არა ვარ; ის მოგევლინებათ თქვენ ახალ დგმისაგან. როდესაც იოანე ჰნათლავდა ხალხს, ის ეგონათ ებრაელებს მესია და მას უთხრეს: შენა ხარ მესიაო? არა, უპასუხა მან, მესია მე არა ვარ, მესია ის არის, რომელიც ეხლა მოდის და ნელნელა ჩვენსკენ ეშვებაო; მე ნათელს გცემთ თქვენ წყლით და ის კი სული წმიდითაო". მე ღირსი არა ვარ ამ შედარებისა, მხოლოდ მაგალითად მომყავს ამ აღფრთოვანების დროს. დიახ, ბატონებო, ასრულდა იოანე ნათლის მცემლის სიტყვები, მოევლინა ქვეყანას მაცხოვარი; სწორედ ასევე მოევლინება საქართველოს მისი საკადრისი გმირი, რომელსაც მე ღირსი არა ვარ ხამლი გავხადო ფეხთა მისთა და თუ მე მცირე მახარობელს. უბრალო მომაკვდავს, ასეთი აღტაცებით მეგებებით, მაშ რაღა იქნება, როდესაც ნამდვილი გმირი მოგევლინებათ; თქვენ მაშინ მეტი გახარებულნი იქნებით და უფრო მომზადებულნი შეხვდებით გმირთა-გმირს, მე მხოლოდ დამრჩენია ერთი: ჩავიკრა გულში თქვენი სიყვარული და პატივისცემა და უკანასკნელად სვიმონ მოხუცივით წარმოსთქვა: „აწ განუტევე მე მონა შენი".

ამასთან მგოსანმა მიირთვა სადღეგრძელო საზოგადოებისა და უძღვნა მადლობა ასეთი მიღებისათვის და დღესასაულობისათვის. საზოგადოებაში გაისმა ტაშისცემა, „ვაშას" ძახილი და გახდა თოფ-დამბაჩების გრიალი. **დეკანოზმა მათე გორდეზიანმა** უპასუხა მგოსანს: „ძვირფასო მგოსანო! თქვენი მოსვლის ამბავი ელვასავით მოედო მთელ რაჭის მცხოვრებლებს; იგი ცეცხლის ნაპერწკალივით ჩავარდა ჩვენს გულში და აღანთო გამოუთქმელი სიხარულის გრძნობები და თქვენის მოსვლით და პირისპირ ხილვით კი ეს გრძნობები გაგვიორკეცდა; ხოლო გამოტეხი-

# მამულის დანაწილება საქართველოში

1.

(თავად-აზნაურობის მიწა-ადგილი)

**ტფილისის გუბერნია.**

თავად - აზნაურობის დღევანდელ მიწად-მფლობელობას რომ თვალი გადაავლოთ, მყისვე შენიშნავთ მეტის-მეტ დანაწილებას და მთლიან მამულის დაქუცმაცებას.

რა არის ამის მიზეზი?

ამ მოვლენის მკვლევარნი ჯერ გასულ საუკუნის მიწურულში ამტკიცებდნენ, რომ თავად-აზნაურულ მიწად - მფლობელობის დანაწილებას კავშირი აქვს საერთო ბატონ-ყმურ წყობილების გადავარდნასთან, რომ მიწად-მფლობელობას აგრე რიგად დაქუცმაცება მოასწავებს **წოდებრივ** მიწად-მფლობელობის და მიწად-სარგებლობის გახრწნას ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ მიწად-მფლობელობის სასარგებლოდაო. ჩვენ აქ იმის გამორკვევას არ შეუდგებით, თუ ვინ ამბობდა მართალსა. მაგრამ შეუძლებელია არ აღვნუსხოთ, რომ დღევანდელ საქართველოში არსებული თავად-აზნაურობის მამულის დაქსაქსვას მხოლოდ დღეს არსებულ სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში ვხედავთ და აგეთ დანაწილებას და დაქსაქსვას თავად-აზნაურობის მიწა-ადგილს სრულიად არ ჰქონდა ალაგი ძველ ფეოდალურ ხანაში. აკი განსვენებულმა მკვლევარმა საქართველოს საზოგადოებრივისა და ეკონომიური ცხოვრების პროფ. ალ. სოლ. ხახანაშვილმა ჯერ კიდევ მე-XIX საუკუნის ბოლოში, ჟურნალ „კვალში" დაგვიმტკიცა, რომ წოდებრივობას საზოგადოდ და თავადობას, აზნაურობას კერძოდ რეალური სარჩული ჰქონდა კერძო საკუთრებაში. ისინი პირველ ყოვლისა შეძლებული ხალხი იყვნენ, მიწად-ფლობელნი, ფეოდალები და აქედან ავრცელებდნენ თავიანთ უფლებას ბოგანო ხალხზე.

დღეს კი თავადობა და აზნაურობა სრულიად არ მოასწავებს მიწად-მფლობელს, შეძლებულს და ფეოდალს. წოდებრივობა ჩვენში ძველ წყობილების ნაშთს შეადგენს და თუ დღეს რეალური სარჩული აქვს გამოცლილი, ხვალ ისტორიის არქივს ჩაბარდება.

რას წარმოადგენს დღეს ამერეთში თავად - აზნაურობის მიწა-ადგილი? რა რიგადაა ის დანაწილებული, დაქსაქსული?

საზოგადოდ ამერეთში თავად-აზნაურობის მიწად მფლობელობა უფრო დაცულად ითვლება, ვინემ დასავლეთ საქართველოში; ამერეთში თავად-აზნაურობამ თითქოს რამდენადმე შეინარჩუნა წინანდელი სიმრთელე, მაგრამ მიუხედავად ამ საერთო შეხედულობისა, სინამდვილე მაინც მეტად სავალალო სურათს უჩვენებს ჩვენს თავად-აზნაურობას და ხშირად გვიმტკიცებს, რომ ამერეთის თავად-აზნაურობა ზოგიერთ კუთხეებში არა თუ უსწორდება გლეხობას, პირიქით ამ უკანასკნელის ულარიბეს ძალ,საც წარმოადგენს. რა თქმა უნდა ასეთი შემთხვევები საზოგადო მოვლენა არაა ჯერ, მაგრამ ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, რომ თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი მდგომარეობა თითქმის არაფრით განირჩევა სხვა დაბალ წოდების მდგომარეობიდან. 1)

მაგალითად ახალქალაქის მაზრაში —როგორც ბ. ფ. გ. გოგიჩაიშვილის სტატისტიკურ ცნობათა კრებულიდან ვხედავთ—ბარალეთის საპოლიციო უბანში მიწა-ადგილი ზომით 0—1 დესეტინამდე თავად-აზნაურობის წრიდან ჰქონდა ოცდაშვიდს, ხოლო სხვა წოდებიდან, უმთავრესად გლეხობიდან, მხოლოდ თხუთმეტს. ასე რომ ნოლებიანი მესაკუთრე ბარალეთში წარჩინებული წოდება მეტი იყო, ვინემ ნაყმევი გლეხები. ამ ლატაკ თავად-აზნაურებს, რიცხვით 27-ს სულ ჰქონია 9,99 დესეტინა მიწა-ადგილი, ე. ი. საშუალოდ თითოზე მოდის 0,36 დესეტინა მიწა. მზგავსად ლატაკ დაბალ წოდების 15-მესაკუთრეს ბარალეთში ჰქონდა სულ 6,48 დეს. მიწა-ადგილი, ე. ი. საშუალოდ თითოზე მოდის 0,43 დეს. ასე რომ მაღალი წოდება აქ დაბალ წოდებაზე უფრო გაჭირებული ყოფილა.

ასეთი მდგომარეობა თავად-აზნაურობისა მთლად ამერეთის თავად-აზნაურობის მდგომარეობას არ ახასიათებს. ბარალეთის მაგალითი მხოლოდ სიმპტომატიური მოვლენაა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ რამდენად უკან დაწეულა ძველი წარჩინებული წოდება საქართველოს ახალ ვითარებაში, ამას ქვევით დავინახავთ.

ჩვენ მიერ აღებულ ბარალეთის მაგალითს — თავად-აზნაურობის მამულს დაახლოვებით შემოაქვს შემოსავალი 559 მანეთი, ე. ი. სათითაოდ რაღაც 55 მანეთი. დაბალ წოდების მამულს კი საშუალოო 53 მან. სოფელ ხერთვისის თავად-აზნაურობის შრომა, როგორც ხედავთ, დიდად არაფრით განსხვავდება ნაყმევთა შრომის ნაყოფიერობიდან. საერთოდ კი, როგორც პირველი (მაღალი წოდება) ისე მეორე (დაბალი წოდება) ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ წმინდა წყლის პროლეტარებად, რომელთაც საკუთრება ვერ დააკმაყოფილებს თავიანთ ოჯახის და საზოგადო მოთხოვნილებებს და რისთვისაც ესენი იძულებულნი არიან მიატოვონ ხერთვის მიდამოები, რომ ქალაქში რომელიმე სამრეწველო შრომით თვით-არსებობა და თავიანთი მოდგმა უზრუნველჰყონ.

რომ მარტო ბარალეთის უბნის ერთი სოფლის ამარა არ დავრჩეთ, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სხვა ცნობა, რომელიც მთელ ტფილისის გუბერნიას შეეხება. ცნობებს ჩვენ მაზრების მიხედვით მოვიყვანთ. აქედან დავინახავთ რომ მთელ ტფილისის გუბერნიაში ასეთი ლატაკები ყოფილან:

| | 0—1 დეს. | | მამული | |
|---|---|---|---|---|
| მაზრებში | თავად-აზნაურობის წრიდან | გარეშე წოდების წრიდან. | თავად აზნაურობის წრიდან. | გარეშე წოდების წრიდან |
| ახალქალაქის . . . . . . . | 27 | 20 | 9,99 დეს. | 8,98 დეს. |
| ახალციხის . . . . . . . . | 22 | 698 | 11,33 " | 416,30 " |
| ბორჩალოს . . . . . . . . | 21 | 690 | 12,45 " | 257,55 " |
| გორის . . . . . . . . . . | 343 | 5,845 | 203,71 " | 2,433,97 " |
| დუშეთის . . . . . . . . . | 16 | 52 | 11,87 " | 37,38 " |
| სიღნაღის . . . . . . . . . | 70 | 1,184 | 37,60 " | 532,20 " |
| თელავის . . . . . . . . . | 39 | 3,290 | 23,68 " | 1,314,35 " |
| ტფილისის . . . . . . . . | 78 | 1,210 | 37,33 " | 399,26 " |
| თიანეთის . . . . . . . . | 17 | 352 | 11,45 " | 179,65 " |
| ზაქათალის ოლქში . . . | 38 | 66 | 25,51 " | 51,90 " |
| გუბერნიაში . . . . . . . | 671 | 13.407 | 384,92 " | 5.630,59 " |

ეს მცირე სტატისტიკური ცნობა მეტის მეტად საგულისხმიერო არის. იგი ცხადად გვისახავს იმ ძალას საქართველოს ახალ ცხოვრებისას. რომლის ზედ-გავლენით ერთიანად გარიყულა წარმოების მოძულე ხალხი —თავად-აზნაურობა და დაუნგრევია ამ უკანასკნელის ავლა-დიდება.

მთელ ტფილისის გუბერნიაში ერთი დესეტინა მიწა-ადგილიც რომ არ გააჩნია, ისეთი თავად-აზნაურული „მამული" სულ ყოფილა 671, ამ მცირე ადგილს დაჰპატრონებია სულ 787 მესაკუთრე. განა ბატონ-ყმურ ხანაში, სადაც მართალია არსებობდა უფროსი და უნცროსი, ღარიბი და მდიდარი, განა აგრე დაკნინებულ თავადის ან აზნაურის მამულს ერთსაც სადმე ვნახავდით? დიაღ არა.

რომ უფრო მარტივად გადაგვეშალოს საქმის ნამდვილი ვითარება, გამოვიანგარიშოთ, თუ ეს მამული სათითაოდ (საშუალოდ) რა ზომას წარმოადგენს, რაა ნამდვილი მისი სახე. ჩვენ ვიცით რამდენია მამული, ვიცით ამ მამულის საერთო ზომა, სივრცე, ახლა გავყოთ პირველი უკანასკნელზე და გამოვა შემდეგი მეტის-მეტად მრავალმეტყველი და საინტერესო ცხრილი.

ასე, მაზრების მიხედვით თვითეულ მამულის სიდიდე უდრიდა:

| | თავად-აზნაურობის წრიდან. | გარეშე წოდებისა. |
|---|---|---|
| | საშუალოდ | |
| ახალქალაქის მაზრაში | 0,35 დეს. | 0,44 დეს. |
| ახალციხის მაზ. | 0,50 " | 0,59 " |
| ბორჩალოს " | 0,54 " | 0,37 " |
| გორის " | 0,68 " | 0,41 " |
| დუშეთის " | 0,74 " | 0,71 " |
| სიღნაღის " | 0,53 " | 0,45 " |
| თელავის " | 0,60 " | 0,40 " |
| ტფილისის " | 0,47 " | 0,33 " |
| თიონეთის " | 0,67 " | 0,51 " |
| ზაქათალ. ოლქი | 0,67 " | 0,78 " |
| საშუალოდ გუბერნიაში | 0,57 " | 0,50 " |

როგორცა ხედავთ, თავად-აზნაურობის ერთი ნაწილს ნივთიერი მდგომარეობა სრულებით არაფრით განირჩევა ძველადაც და ახლაც საშინელ მდგომარეობაში ჩაყენებულ გარეშე წოდებიდან, რომლის დიდი უმრავლესობა გლეხ-კაცობაა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გარეშე წოდების რიცხვი მეტია ვინემ თავად-აზნაურობის.

თუ პროცენტებს მივმართავთ იმის შესატყობად, თუ თავად-აზნაურობის რამდენი ნაწილი, რამდენი პროცენტია აგრე მართლა პროლეტარულ ყოფაში ჩაყენებული და რამდენი პროცენტი არის გარეშე წოდების, მაშინ დავინახავთ, რომ მთელ ტფილისის გუბერნიაში სხვა და სხვა ზომის მამული თავად-აზნაურობისა უდრიდა 6,200-ს, ხოლო გარეშე წოდების 14.945-ს. აქედან შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ, რომ 0,57 დესეტინა მიწა-ადგილი ჰქონია თავად-აზნაურობის 10,82%, ხოლო გარეშე წოდების, ე. ი. უმთავრესად გლეხ-კაცობის 69,77%. როგორც ხედავთ დაბალ წოდების ხალხის დიდი უმრავლესობა 79,77% ყოვლად შეუსაბამო ნივთიერ მდგომარეობაში ყოფილა, მაგრამ ამავე დროს თავად-აზნაურობის 10,82%, გალატაკებულ ხალხის სვე-ბედად თამამად გაუნაწილებია.

სად იყო აგეთი დანგრევა სათავად-აზნაურო ავლადიდების დღევანდელ დრომდე? განა ჩვენი ცხოვრების ფეოდალური ხანა ანალოგიურ სურათს გვიშლის? დიაღ, ეს გარემოება ახალმა ცხოვრებამ გამოიწვია, რომლის თანდათანი განვითარება წოდებრივ მიწად-მფლობელობას კიდევ უარეს ყოფაში აყენებს.

**თევდ. ღლონტი.**

1) ზოგიერთნი ამბობდნენ, მამულის უსწორმასწორობა, სიმდიდრე და სიღარიბე ბატონ-ყმურ ხანებშიაც კი იყოო. სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ ისე დაცემა ეკონომიურად თავად-აზნაურობის, რომელსაც ჩვენ დღევანდელ პირობებში ვხედავთ და რასაც ჩვენ სტატისტიკის საშუალებით დავასურათებთ ქვემოდ,—ასეთ დაცემას კი ალაგი არა ჰქონდა ბატონ-ყმობის ნორმალურ პირობებში. მარტო უკანასკნელი ხანა ბატონ-ყმობისა მისაღები არაა. თ. ღლონტი

ლად და გულ-ახდილად უნდა გითხრათ, ღირსეულო მგოსანო, რომ ბოლოს ნათქვამმა სიტყვებმა „აწ განუტევე მონა შენიო“ ცოტა ნაღველი გადაასხა ჩვენს მხიარულებას; სიმონ მოხუცს ღვთისაგან ჰქონდა ნაბრძანები არ მომკვდარიყო სანამ თვისი თვალით არ იხილავდა მესიას, მხსნელს სოფლისას და ასეც მოხდა, თქვენ კი გვპირდებით მის მოსვლას თქვენს შემდეგ. არა, დიდო მგოსანო! შენ თვით ზეციდან ხარ მოვლენილი ჩვენი სამშობლოსათვის, რომელსაც მთელი თქვენის არსებით ეკუთვნით და არა მარტო თქვენს თავს, ამიტომ არც უფლება გაქვსთ სთქვათ „აწ განუტევე“ არა, ამის ნებას ვერ მოგცემთ, უნდა იცოცხლოთ მანამდის, სანამ თვით თქვენ არ მიირქმევთ თქვენს მკლავზე იმ მესიას... მგოსნის გამოსათხოვარმა სიტყვამ და დეკ. გორდეზიანის პასუხმა ბევრ იქ დამსწრეს სიხარულის ცრემლები გადმოადინა. მგოსანი იჯდა საზოგადოებასთან ღამის ცხრა საათამდე, შემდეგ გააცილეს ბინამდის ზურნით, მაშხალების სროლით და მხიარულობით. ბაღში მოლხენა და ცეკვა თამაში გაგრძელდა ღამის ორ საათამდის; მთლად ონი გაჩირაღდნებულ-განათლებული იყო, ყველა ფეხზე იდგა. ასე დიდებულად ჩაიარა ონის ნადიმმა.

მეორე დღეს, კვირას 29 ივლისს, უნდა გამოვსულიყავით ონიდან, ღამე უნდა გაგვეთია ისევ ბარაკონში, საიდანაც 30 ივლისს გავემგზავრებოდით შამ. ერისთავის იჯახში ქრებალოში და შემდეგ ავიდოდით ლაილაშში; საზოგადოება მოგველოდა ლაილაშში 31 ივლისისათვის.

**ლადო ბზვანელი.**

(შემდეგი იქნება).

P. S. შემდეგ წერილებში დაიბეჭდება: 1, ონიდან გამოსვლა, ბარაკონში ვახშამი და ღამის გათევა. 2, ბარაკონიდან გასვლა, სადილი ტოლაში თავ. დიმ ყიფიანის მარანში და ღამის გათევა. 3, ტოლიდან გასვლა, საუზმე ქრებალოში, ალფანაში მისვლა და საზოგადოების შეხვედრა. 4, ლაილაშში ასვლა, საზოგადოების შეხვედრა, ნადიმი და ღამის გათევა. 5, ლაილაშიდან გამოსვლა და ქუთაისში დაბრუნება პირველ აგვისტოს. **ლ. ბ.**

## ლექცია ქ. ფოთში

დიდი ხანია, ფოთში ლექცია არ წაკითხულა. 19 აგვისტოს ამას წინედ **აკ. პაპავამ** წაიკითხა ლექცია: „ქართული ლიტერატურის აღორძინება და მისი კრიზისი“. ხალხი საკმაოდ დაესწრო. არ იყვნენ მხოლოდ ქალები; ალბად თუ ეძნელებათ ქართულად წაკითხულ ლექციის გაგება! ლექცია შინაარსიანი გამოდგა.

**ალ. ჭავჭავაძე** წმინდა ეროვნული სულის მატარებელი პოეტი არისო, სთქვა ლექტორმა. მას გულს უკლავდა აწმყო თავის საზარელ შინაარსით; მგოსანს შეეძლო საკაცობრიო მოტივზე აეჟღერებია თავისი ჩანგი, შეეძლო სევდა და ვარამი მკაფიოდ აღებეჭდა, მაგრამ ვერ შესძლო, რადგანაც სამშობლოს სიყვარულმა სულ სხვა გზით მომართა მისი სულის კვეთება. იგი ვერ გასცილდა სამშობლოს საზღვრებს, მხოლოდ მის დიად ბუნებას უმღეროდა და სიყვარულს აღმერთებდა, რადგან მასში ჰპოვებდა სულის კმაყოფილებას.

**ნიკოლოზ ბარათაშვილი** კი სულ სხვა ვინმე იყო. მან გადალახა ეროვნული საზღვრები, საკაცობრიო მოტივზე ააჟღერა ჩანგი შექმნა პესსიმიზმის მთელი მთა და შეიქმნა მსოფლიო პოეტი; აქ ლექტორმა მოიყვანა „მერანიდან“ ზოგი ადგილები.

**აკაკი და ილია** ცდილობდნენ ქართველთა ძველი სიდიადე აღედგინათ და რადგანაც ისინი აწმყოში ვერ ჰხედავდნენ ხსნას, წარსულისკენ იმზირებოდნენ.

**აკაკი** ჰხატავდა ქართველთა სიდიადეს, მამაცობას და ძველ გმირებსავით დასახა მიძინებულ საქართველოს: „არა, აყვავდეს იმედი გულს ვერ გამიტეხს ჭალარა; გმირებს დაეძებს, უკვის ჩემი დაფი და ნაღარა“!

**ილია** ჰხატავდა ძველ ქართველთა სულის სიმტკიცეს, ყოველივე გაჭირვების მედგრად ატანას,—მოთმინებას და გამჭრიახობას: „ხმალი იმდენს ვერას იქმს მრისხანე და ძლიერიო, რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო“.

აკაკიმ დაგვიხატა გმირი **თორნიკე ერისთავი**, როგორც საუკეთესო დამცველი სამშობლოსი, ხოლო ილიამ მოგვცა მეფე **დიმიტრი თავდადებული**“, ეს სულით მტკიცე, სამშობლოსთვის თავ-დადებული გმირი.

ასე გვიმღერდნენ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ბუმბერაზები. დღევანდელ ჩვენს მგოსნებს ვერა აქვთ სავსებით შეთვისებული ნამდვილი სახე ქართველი ერისა. ამიტომ ისინი მთლიანობას მოკლებულნი არიან, ვერ ჰპოვებენ ჩვენს ცხოვრებაში მასალას და ამიტომ მგოსანი **ალ. შანშიაშვილი** ელლინიზმით არის გამსჭვალული, ჰსურს ელლინთა დიად წარსულის სახით შვების შხეფებით მორწყოს ქართველთა ველ-მინდვრებიო.

ამით დაათავა ლექტორმა მოკლე მიმოხილვა მეცხრამეტე საუკუნის პოეტების შესახებ. შემდეგ შეუდგა კრიტიკის შესახებ არსებულ სხვა და სხვა თეორიების ახსნას. თავიდანვე აღიარა:—მე მრწამს კრიტიკა მხოლოდ ესთეტიური და მას ვუჭერ მხარს, რადგან ეს არის ნამდვილი და სწორი კრიტიკა. არის აგრეთვე პოზიტიური კრიტიკა კონტისა და მეტაფიზიკური—არისტოტელისა, მაგრამ ორივე ზემოხსენებულ საკრიტიკო თეორიებს კარგ თვისებებთან ერთად აქვთ თავიანთი ნაკლი და ამიტომ მათი მიღება შეუძლებელია.

ეხლა ევროპაში და იმათი მიხედვით, ჩვენშიაც განვითარებულია მიმართულება მოდისა; რაც დღეს მოგწონს და მისაღებია, ის ხვალ არ მოგწონს და მიღების ღირსადაც არა სცნობ. ეს არის მოდური კრიტიკა. არის თეოსოფიური კრიტიკაც, ანუ როგორც საზღვარ-გარეთელები ეძახიან „ცნობიზმი“ კრიტიკაში—კანონი კანონის გარეშე, მაგრამ ამგვარი კრიტიკაც მცდარია, რადგან არავითარ ადგილს არ უთმობს სინამდვილეს.

გერმანელი სოციოლოგი ფლობერი ამტკიცებს, რომ მწერალმა უნდა იხილოს სინამდვილეში, რასაც გადმოგვცემს; ეს ერთ იდეაში ჩამოისხმის, მაგრამ მეორე იდეაში ჩამოისხმის მომენტი სულისა, სადაც სინამდვილე სავსებით იმსხვრევა.

ერთი რიგი მწერლებისა მოგვითხრობენ საკუთარ სულიერ განცდებს; აქედან წარმოიშვენ ნოველლისტები, ესკიზის მწერლები, რომელნიც ვერა ჰქმნიან მთლიან, დასრულებულ რამეს; ხოლო მეორე რიგი მწერლებისა, თუმცა სინამდვილეში ტრიალებენ, მაგრამ მაინც ვერ ჰხედავენ მთლიან სახეს და იმათ ხელში მთლიანობა ფერფლად ქცეულ არა-რას წარმოადგენს.

ეს ყველაფერი კრიზისის ბრალია. კრიზისი წარმოშვა რეაქციამ ერთის მხრივ და ფეოდალურ ხანის გადავარდნამ მეორის მხრით. რეაქციამ გასაქანი არ მისცა ხალხის გენიას, ფეოდალურ ხანის გადავარდნამ-კი დაჰყო ქართველი ერი, დაქსაქსა, სხვა და სხვაობას დიდი ადგილი დაუთმო. სხვანი თავისკენ მიიწევენ. ქართველ მაჰმადიანს, რა-კი იგი მაჰმადიანი სარწმუნოების მატარებელია, ვერ დაარწმუნებთ, რომ ქართველ-ია; მეგრელი კიდევ თავისკენ (?) მიექანება. აქ ლექტორმა მოიყვანა ნ. ჟორდანიასი და არჩილ ჯორჯაძის—ამ ორ სხვა და სხვა მიმართულების პუბლიცისტთა—აზრი. პირველის აზრით ეკონომიური მხარე თამაშობს დიდ როლს ქართველი ერის ერთსახეობის აღსადგენად; მეორის აზრით უნდა მიექცეს პარალელურად საქართველოს სხვა და სხვა კუთხის განვითარებას ერთ გვარი მნიშვნელობა, რადგან ეს ეხლა ასე არ არის,—გამოხმაურება ერთისა ვერ არის გამოხმაურება მეორისა, მჭიდრო სულიერი კავშირი მათში არ არსებობს. ამ გვარად ეს ორი პუბლიცისტი ერთ და იმავეს ისახვენ საბოლოო მიზნად, ხოლო გზა ამ მიზნისკენ მიმართული სხვა და სხვაა. საჭიროა ცხოვრების ამუშავება, საჭიროა საქართველოსთვის ერთსახეობის აღდგენა, ეროვნული თვითშეგნების განვითარება და სიტყვაკაზმული მწერლობის აყვავებაც ამას მოჰყვებაო.

ლექციის მეორე ნაწილში ლექტორი შეეხო საფრანგეთისა, გერმანიისა და საბერძნეთის ეროვნულ თვითშეგნების განვითარების ისტორიას და დაასაბუთა, თუ რამდენად ვითარდებოდა ეროვნულ თვითშეგნების განვითარებასთან ერთად მწერლობაც. შემდეგ შეეხო ჩვენში ფეოდალურ ხანის დარღვევას აქ სავსებით ლამაზად გადმოგვცა ჩვენი ნიჭიერი იუმორისტ-ბელლეტრისტის **დავ. კლდიაშვილის** ნაწერების მთავარი აზრი და მიმდინარეობა, დაახასიათა ტიპები დავ. კლდიაშვილის ნაწერებიდან და იგი აღიარა ამ კრიზის—გარდამავალ ხანის—საუკეთესო დამხასიათებლად. გარდამავალი ხანის ამწერი ლირიკაში არის **დუტუ მეგრელი**, რომელსაც ქართული სიტყვიერების ისტორიკოსი უყურადღებოდ ვერ დასტოვებს.

ამ გვარად საჭიროა ეს გარდამავალი ხანა, რაც შეიძლება ჩქარა ჩაბარდეს ისტორიას, საჭიროა კრიზისი მიიწუროს ლ მაშინ ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ხელში, როდესაც ისინი ქართველების ერთსახეობას შეიცნობენ, კიდევაც აყვავდება მწერლობაო, — დაამთავრა ლექტორმა.

ლექტორი მდაბიო და გასაგების ენით ლაპარაკობდა, ეს იყო მხოლოდ რომ ზოგან გამოთქმა მონოტონური, გაბმული ჰქონდა, მაგრამ ამ ნაკლს, იმედი გვაქვს, ახალგაზრდა ლექტორი ადვილად გაასწორებს.

ვერ დავეთანხმებით ლექტორს მეგრელების და მაჰმადიან ქართველების შესახებ, ვითომც მათში არ იყოს ის შეგნება, რომ ისინი ქართველი ტომისანი არიან. ეხლა, არა თუ სამეგრელოში, თათრების ქვეშევრდომ ლაზეთშიაც-კი არის ამ გვარი შეგნება. მე ლ მეგრული ენის მკვლევარმა ბ. იოსებ ყიფშიძემ გავიცანით აქ, ფოთში, ერთი ლაზი, რომელიც მეგრულად კარგად ლაპარაკობს. ლაზმა გვიამბო ბევრი რამ თავიანთ ცხოვრებიდან. ჩემ შეკითხვაზე, თუ რა კაცად თვლი შენ თავს,—მიპასუხა, მე ჭანი ვარ, იგივე მეგრელი, ჭანურში მეგრული სიტყვა ბევრი არისო. ქართულიც სცოდნია ამ ჭანს, მხოლოდ ლაპარაკი ცოტა უჭირს. მან დაწვრილებით გვიამბო, თუ იმათი ქალები ქართველებს არ ერიდებიან და პირ-ბადე ახდილი დადიან, ხოლო მუსულმანის დანახვაზევე აიფარებენ... სხვაც ბევრი რამ გვიამბო, მაგრამ გამოტეხილად, სხვა და სხვა მიზეზისა გამო, ვერაფერი გვითხრა. აქ ერთი ნაბიჯი-ღაა საჭირო იმ ერთსახეობის აღსადგენად, რომელიც აგრე რიგად საჭიროა საქართველოსთვის, მაგრამ უბედურებაც ისაა რომ ეს ერთი ნაბიჯი ძნელი გადასადგმელი გახდა.

**ლასგანიძე.**

## ნაპოლეონის საბურნუთე კოლოფი.

ნაპოლეონ პირველს ჰყოლია მეგობარი ექიმი ალოიზ დე კამპოკასსო, რომელიც კუნძულ კორსიკაზე მდებარე ქალაქ აიაჩიოდან ყოფილა და რომელსაც ექიმის ღირსება მიუღია ქ. პიზაში. აი ამ ალოიზა დეკამპო კასასათვის ნაპოლეონს უჩუქებია ოქროს საბურნუთე რომელსაც თვითონ თურმე ატარებდა. როდესაც ნაპოლეონი დაატუსაღეს, მისი მომხრეები ლტოლვილ იქმნენ საფრანგეთიდან. ალოიზიც განშორდა საფრანგეთს, იყო სირიაში, ეგვიპტეში და შემდეგ მოატანა ქ. ქუთაისს, რომელიც ძალიან მოეწონა და აქვე დასახლდა, მას ჰყავდა სამი ვაჟი; ფრანჩესკი, ანტონიოდა ვინჩენციო და ერთი ქალი მარიამი, რომელიც შეირთო საფრანგეთიდანვე ლტოლვილმა ბერნომ. (ამ ბერნოს შვილი იყო დასავლეთ საქართველოში კარგად ცნობილი, ხალხის მოკეთე ექიმი კარლობერნო).

სამივე შვილები ალოიზისა უშვილოდ გარდაიცვალნენ. ყველაზე ბოლოს გარდაიცვალა საშუალი ანტონიო, რომელსაც ძმების მთელი ქონება ერგო მემკვიდრებით. ანტონიოს ცოლად ჰყავდა ერემია აკოფაშვილის ქალი მარია. ამ უკანასკნელთა ქონება კი დარჩა მართას დისწულს იოსებ სტანისლავას ძე სოლორაშვილს (პოდპოლკოვნიკია და ცხოვრობს ტფილისში ახალ არსენალის ქუჩაზე № 14) სიტყვიერის **გადმოცემით** სხვა საყურადღებო ნივთთა შორის მართას ნაპოლეონის საბურნუთე კოლოფიც იოსებ სოლარაშვილის ხელში ჩავარდა. კოლოფი ვნახეთ და დიდად გაკვირვებულ დავრჩით მისი სიმშვენიერით.

სიგრძით კოლოფი ორი გოჯი იქნება, სიგანით კი ერთი ან ცოტა მეტი. თითონ კოლოფი ოქროსია, ზედ ბაჯაღლო ოქროთი ამოჩუქურთმებულია ის მომენტი, როდესაც გალიელი მხედარი ჰკლავს არქიმედს, ხოლო უკანასკნელი გულგრილად ეუბნება: „ნოდი ცირკულოს მეოს“.

განსაცვიფრებელია, როგორ შესძლეს ასე მშვენივრად და ნათლად სახის გამომეტყველების გადმოცემა ჩუქურთმის. ირგვლივ სურათს ახლავს სხვა და სხვა საგეომეტრიო ინსტრუმენტები.

ამბობენ, ნაპოლეონს ძალიან უყვარდა ორი ისტორიული პირი. ალექსანდრე დიდი და არქიმედიო და თავის ნივთებზე ხან ერთისა და ხან მეორის სურათს ახატვინებდაო. ვინ იცის? ეს კია, როგორც თითონ ეხლანდელ, პატარა კოლოფსა, აგრეთვე ანტონ დეკამპო კასსოს ნაცნობებიც დარწმუნებული არიან, რომ კოლოფი უეჭველად ნაპოლეონის ნაქონია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამის წერილობითი საბუთი, არაფერი არ მოიპოვება. არის მხოლოდ ტყავის ატტესტები ალოიზ კამპოკასსოს ექიმობის შესახებ.

საჭიროა, მცოდნე პირებმა მიაქციონ ამ ნივთს ყურადღება. ნუ თუ არ შეიძლება კაცმა გამოიძიოს ეს ამბავი. ვგონებთ ნაპოლეონის თითო ფეხის გადადგმა იციან სპეციალისტებმა და ნუ თუ იმას ვერ გაიგებენ ეს საბურნეთე კოლოფი მართლა ნაპოლეონისა არის თუ არა?

**№.**

## წერილი ახალციხიდან.

საავარაკოდ გახიზნული ხალხი კვლავ უბრუნდება თავის კერასა, დროებით მიყუჩებულ ქალაქს დღიდან დღე ემჩნევა სიცოცხლის გაძლიერება. ამ გარემოებას, რასაკვირველია ხელს უწყობს სასწავლებლების გახსნა. წელს, ადგილობრივ პროგიმნაზიაში მესამე კლასი იხსნება და გარე ქვეყნებიდანაც დაიწყეს აქ შვილების მობარება. ეჭვი არაა, რომ ყოველწლივ თითო კლასის მომატება სრულს გიმნაზიამდი, უფრო უმეტეს რიცხვს ყმაწვილებისას მიიზიდავს გარექვეყნებიდან. წელს პროგიმნაზიის უნცროს მოსამზადებელ კლასის დახურვა იყო განზრახული, მოწაფეთა მცირე რიცხვისა გამო, მაგრამ როგორც იყო 14-მა ყმაწვილმა მოიყარა თავი და განყოფილებაც აღარ დახურეს.

ორი წელიწადია ამ პროგიმნაზიაში მეთვალყურეობის დროებით თანამდებობას ამავე მოსამსახურე მასწავლებლებთაგანნი ასრულებდნენ, მაგრამ ამ ზაფხულს, როდესაც საშუალო სასწავლებლებში მასწავლებლებთან ერთად ამის შტატები და ჯამაგირები გაადიდეს, ბევრს აღძრა მადა ამ მეთვალყურეობის თანამდებობაზე სამსახურისა, რადგანაც თავისუფალი ადგილი იყო და მოაწყდა აურაცხელი მთხოვნელები გარე ქვეყნებიდანაც კი (როგორც ამბობენ 17 თხოვნა ყოფილა).

ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი ბერი გადაიყვანეს ტფილისში და მის მოადგილედ დანიშნეს ტფილისიდან ბ-ნი ლიტვინოვი. ბერის წასვლამ ერთობ დაალონა ადგილობრივი შეგნებულნი, რადგანაც იგი დიდი პატიოსანი ენერგიანი და სასწავლებლის დამწინაურებელი იყო. ორი წელიწადია რაც მისი მეოხებით სამოქალაქო სასწავლებელში გაზაფხულობით იმართებოდა გამოფენა ამავე სასწავლებელთან არსებული სამჭედლო-საზეინკლო და სადურგლო განყოფილების მხატვრობითურთ. იმედია ბ-ნი ლიტვინოვიც მაგიერობას გაუწევს ძველს ინსპექტორსა და თავს ისახელებს.

რაბათის დედათა სკოლის ბნელს ოთახს ძლივს ეღირსა მოიატაკება, რომელიც უქმად დაგდებული იყო. ამ ოთახში დიდი ხანია განძრახული იყო სამუდამო სცენის მოწყობა. იმედია, ახლავე შეუდგებიან საქმეს, მით უფრო რომ ამ სცენისათვის უკვე გვაქვს 153 მან., რომელიც ინახება 90 მან. ამავე სკოლის კომიტეტთან; 50 მან. მასწავ. ქსენია ჯუღელთან და 13 მან. ბათომის გიმნაზიელ იაკობ ვარძელაშვილთან. საჭიროა ახლავე შეიკრიბოს ხსენებული ფული და საქმესაც შეუდგნენ.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ადგილობრივი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დასაარსებლად უკვე შეუსრულებია საკმაო რიცხვი წევრებისა თავად ყარალაშვილს და ამ ცოტა ხანშიც შეუდგებიან თურმე განყოფილების დამტკიცებასა. თავად ყარალაშვილს 30 წევრი შეუკრებია.

რაბათის მცხოვრებთა შორის კვლავ იჩინა თავი სასმელი წყლის უქონლობის გამო გვალვამ. გაზაფხულიდან მოყოლებული დღემდე, როგორც იყო ვისველებდით ზაფხულის პაპანაქებისაგან ამოხახულ პირსა სარიევისა და ორბელიანის მილის წყლით. ახლა კი ხშირად გვიწყვეტავენ ციხეში ჯარის კაცები ამ წყალსა და რჩება ხალხი მწყურვალე. როგორც სჩანს, მალე სრული ადაც მოსწყვეტავენ და მთელს ზამთარს უწყლოდ დასტოვებენ ღარიბ-ღატაკ ხალხს.

ვინ არის პატრონი და შემბრალე მწყურვალე ღარიბ-ღატაკ ხალხისა.

ამ ბოლო ხნებში ჩვენში ერთობ გახშირდა კაცის კვლა. ერთი კვირის განმავლობაში 3 კაცი მოჰკლეს. 24 აგვისტოს სამაზრო სამმართველოს მახლობელ ღელეში ღამით უცნობს ერთი სოფლელი ხანჯლით გამოეფაშვა. მეორე დღეს ქალაქის მახლობლად, კლდიელი მაჰმადიანის დუქანში ფანჯრიდან თოფით მოუკლავთ მედუქნე. მესამე დღეს ღამითვე, ქუჩაში მოჰკლა რევოლვერით ოშრის ამადბეგის შვილმა ერთი ოფიცერი.

ჰირნახული კარგი მოვიდა ჩვენში. თივა კიდევ უკეთესი; ხილსაც არა უჭირს, რა ზოგან კი სრულიად არაა, სადაც გაზაფხულის უდროო ყინვებმა ერთიან მოსწვა ახალად გამოკვირტულ-გამოყვავილებული ხეხილი.

ახალციხის ბაზარზე ერბო ფასობს ფუთი 14 მანეთად, ყველი—6 მანეთი. ხორცი ცხვრისა 4 მან. 40 კაპ., ძროხის ხორცი—4 მ. 80 კაპ. ქერი 65 კაპ. ხორბალი—1 მანეთი.

**მოკეთე.**

# პატარა ფელეტონი

## ნაზი ცოლ-ქმარი

მაღლა ჭერში მიკრული ელექტრონის ოცდათორმეტ სანთლიანი ლამპა მკრთალად ანათებდა კარგა მოზრდილს სასადილო ოთახს. ოთხს. ოთხკუთხ მაგიდაზედ საამოდ ხითხითებდა სამოვარი, რომელსაც მოსჯდომოდა მრავალი სახის დიდი, ახოვანი ქერა ქალი და ჰიქას ჰიქაზედ მიირთმევდა მზის აღმოსვლის სამეფოს დადუღებულ სურნელოვან მცენარის წვენს.

— მიქაელ, შენა!—გასძახა ქალმა მეორე ოთახში, ფეხის ხმა რომ შეესმა.

— ჰო, ჩემო ტურფა ნამცეცავ!—უპასუხა იმან, ვისაც ეს ქალი მიქაელს ეძახდა მეტის ალერსით, და ამ სიტყვებთან ერთად ოთახში შემოვიდა მეორმოცე წლებში გადასული, ჩოფურა, ყვავილით საკმაოდ დაკენკილი ახმახი, რომლისთვისაც მხოლოდ წარმოდგენათა ნიჭის მეტისმეტი ძალდატანებით შეიძლებოდა ადამიანი დაგერქვათ; ისე კი ორანგუტანგს უფრო მოგაგონებდათ. წვერ-ულვაში მომცდარ ყანას უგავდა, ხოლო კბილები კი უფრო ცხენისას მიეგზავსებოდა. დიდი ღიპიანი მუცელი, წვრილი ფეხები, მაღალი ტანი, მოკლე კისერი და პატარა თავი სრულიად ხატავდა იმას.

შემოსვლის უმალვე მან სიამოვნებით დაიხვიხვინა და თავისი ცხენის კბილები გამოაჩინა.

— რა ქმარი გყევარ, ნამცეცავ, რა ქმარი! ნიჭიერი, ახალგაზდა ექიმი... ფულებს ხომ ისე ვხვეტავ, რომ...

ქალმა რაღაც სიბრალულით და ზიზღით შეხედა ქმარსა.

— რა, არა გჯერა?

ქმარმა გაიარ-გამოიარა ოთახში,

— ეჰ უბედურო!—ვეღარ მოითმინა ცოლმა, გაიძახი, ახალგაზდა ექიმი ვარო, განა უნივერსიტეტის კედლებს რომ სულ ორიოდე წელიწადია, რაც ძლივს დააღწიე თავი, მაგიტომ ეძახი შენს თავს ახალგაზდას?!. არ დაივიწყო, რომ იმ უნივერსიტეტში სწორედ თორმეტი წელიწადი სწავლობდი, და ეხლა ორმოცს წელს უკვე გადაცილებული ხარ. გაიძახი, გამოჩენილი ექიმი ვარო. სადაური გამოჩენილი, სადაური ნიჭიერი ხარ. ვინ შენა და ვინ ნიჭი!

ქმარი ცოტა მოიღრუბლა.

— მაშ, ეს მთელი ავადმყოფები ჩემთან რად დადიან!

— დადიოდნენ, სანამ სხვა ექიმი არ იყო!

— არა, დადიან... სხვა ექიმები ლამის მთლად შიმშილით დაიხოცნენ, და ფერშლებს ხომ სულ ტყავი სძვრებათ.

— ავადმყოფები დადიან! -გააჯავრა ცოლმა,—დაიცა ჯერ გაგიცნონ, როგორი ექიმი ხარ, თუ კიდევ მოგეკაროს ვინმე! ჯერ ეხლა აბა ვინღა დადის. სულ უბრალო ფერშალს მეტი ავადმყოფი ჰყავს, ვინემ შენ. შემთხვევით თუ შემოივლის ხოლმე ვინმე. ეხლა კიდევ რაღაების ბლაჯვნაც დაგიწყვია; სირცხვილით ვიწვი! ისეთ უნიჭო და სულელურ რამეს როგორ აქვეყნებ? . მკითხველი მაინც შეიბრალე... ექიმებსა და ფერშლებსაც თავი დაანებე, თორემ ძველი ალაგიდან ხომ დაგძრეს მაგის გულისთვის! სულელო.

— გაჩუმდი! სულელი შენ თითონა ხარ. როგორ მიბედავ?—შეუტია სიბრაზით მთლად გაფითრებულმა ქმარმა.

— რას იგინები!

— კიდევაც გაგინებ! დიდი ხანია ვამჩნევ, რომ ბევრს გითმობ ხოლმე... წამდა უწუმ ის ვაჟბატონი რომ მობრძანდება ხოლმე, ერთხელ კიდევ შევხვდები, რომ არ შეიყობთ?..

— [illegible] ეგ და გაკლდა!

— სრულებითაც არა, გარყვნილო ადამიანო! წყეულო...

— რაებს ამბობ? დაიცა...

ქმარმა ყვირილი დაიწყო.

— შენ დაღუპე სრულიად ჩემი ახალგაზდობა, სიცოცხლე და ნიჭი!—ის უკვე მთლად გაჯავრებული იყო,—მზითევში თქვენ მე მომატყუეთ, არაფერი მომეცით...

— კიდეც მზითვის გულისთვის მექცევი ხოლმე აგრე ცუდად? არამზადავ!

— ლანძღვას როგორ მიბედავ?

— გავბედავ, როცა იქამდის მიმიყვან!

— წყეულო! სათოკე...

— გთხოვ, ნუ შეურაცხ-მყოფ! ზნე-დაცემულო!

ქმარმა მიიწია.

— აბა, მოდი...

— მერე რას მიზამ, რომ მოვიდე,—გააფრთებული ქმარი მივარდა და მუშტები მოუღერა ცოლსა. აბა ერთი ვნახოთ, რას მიზამ!

გაფითრებულმა ცოლმა თმები გაისწორა და მოშორდა. ქმარი უკან გაჰყვა.

— ქურდო!

— რაიო?

— დიაღ, დიაღ, წყეულო ქურდო! შენ მომპარე სიცოცხლე, ნიჭი, ახალგაზდობა, სილამაზე, ნათესავების სიყვარული და ბედნიერება!

— საცოდავო! თუ მე არა, სხვა ვინ გამოგყვებოდა მახინჯსა! უსვინდისო!

და ცოლმა შიგ პირში შეაფურთხა. ქმარმა ხელი ჰკრა. ცოლმა კარგი სილა უთავაზა. ქმარმა წააქცია იატაკზე და ცემა დაუწყო.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ცოლს ბალიშებში ჩაეყო თავი და გულამოსკვნილი ტიროდა. ქმარი კი ფანჯარასთან მიმდგარიყო და დაკაწრულს სახეზედ ხელცახოცს იდებდა.

სიჩუმე იყო. სამოვარი ოდნავ და ღიღინებდა. მაღლა ჭერში მიკრული ოცდათორმეტ სანთლიანი ელექტრონის ლამპა თითქოს მიმქრალიყო, და მბჟუტავ სინათლეს უგზავნიდა ოთახს. და მისს მკრთალ შუქზედ კედელზედ ჩამოკიდებული სურათები გაკვირვებით უცქეროდნენ „მოსიყვარულე“ ცოლქმარს.

ცოტა ხნის შემდეგ ქმარი მივიდა, დაიჩოქა კრაოტთან და დაუწყო ცოლს კოცნა.

— ნამცეცავ, ძვირფასო, გენაცვალე, მაპატიე...

ცოლს არ ესმოდა და ყურს არ უგდებდა. ვინ იცის სად იყო იმ დროს მისი გონება!

**ნამორი.**

## იაკობ გოგებაშვილის ფონდი

ჩვენგან დაუვიწყარ **იაკობ გოგებაშვილის** თანხის გასამრავლებლად ეს ჩემი სამი თუმანიც მიუმატეთ.

**თ-დი დიმიტრი მაჭაშვილი.**
სოფ იყალთო.

| | |
|---|---|
| დღევანდლამდე ჩვენ რედაქციაში შემოსულია | 875 მ. 74 კ. |
| კიდევ შემოვიდა: ალ. არაბიაშვილის მიერ შეგრ. (ს. კარდანახი) | 8 „ 01 „ |
| მოსკოვის სტუდ. შორის შეგროვილი | 11 „ 20 „ |
| ტრ. ჯაფარიძისაგან ხაშურში შეგროვილი | 11 „ 50 „ |
| თ. დ. ი. მაჭაშვილისაგან | 30 „ — „ |
| წვრილად | 2 „ 40 „ |
| სულ შემოსულია | 938 მ. 85 კ. |

## სხვა და სხვა ამბავი

როგორც ახლა გამოირკვა, მინისტრების მატარებლის დაღუპვა ვაგონების გადაბმის ნაკლულევანებას აუცდენია. მატარებელი გაჩერებულა, რადგან ორთქლმავალი ერთბაშად მოსწყვეტია ვაგონებს და ამიტომ ვეღარ გადაუთრევია ლიანდაგიდან.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)
7 ენკენისთვე.

**საზღვარ-გარედ.**

**დემონსტრაცია.**

**ბუდაპეშტი.** სოციალ-დემოკრატებმა საღამოს დემონსტრაცია გამართეს. მანიფესტანტები ფანჯრის შუშებსა და ფანრებს ამტვრევდნენ. პოლიციამ და ჟანდარმერიამ ხმალი იხმარეს. ხალხში რამდენიმეჯერ სრო-

ლის ხმა გაისმა. ბევრი დაჭრილია, 24 ძლიერა ყოფილა დაჭრილი. დააპატიმრეს 37 კაცი. პოლიციამ დემონსტრანტები გაჰფანტა, რასაც საღამოს ათ საათამდე მოუნდა.

**იტალია და ოსმალეთი.**

**რომი.** მინისტრთა საბჭოს საჩქარო კრება ჰქონდა ბერტოლინის მოხსენების გამო, რომელიც შვეიცარიაში გამართულ მოლაპარაკების შედეგს შეეხება. საბჭომ ჯიოლიტის მოქმედება მოიწონა.

**დერნა.** 4-თხ ენკენისთვეს, ოსმალები დიდის მოხერხებით მიუახლოვდნენ იტალიელთა პოზიციებს და არტილერიის დახმარებით დარუესტალის შესავალზე იერიში მიიტანეს. თავდასხმა უკუაგდეს. იტალიელებმა ძლივს მოიგერიეს. იტალიელებისათვის მოუკლავთ 61 და დაუჭრიათ 113 კაცი. ოსმალებისათვის მოუკლავთ ათასზე მეტი, დაუჭრიათ ამდენივე და 41 ტყვედ ჩაჰვარდნიათ იტალიელებსა. ოსმალებმა უკან დაიხიეს.

**სტამბოლი.** იტალიასთან საზავო მოლაპარაკება განახლდა.

**რომი.** იტალიის მიერ დაპყრობილ არქიპელაგის კუნძულების დელეგატებმა სან-ჯულიანოს და პალატისა და სენატის პრეზიდენტს წარუდგინეს მემორანდუმი, ოსმალეთისაგან გაგვანთავისუფლეთო.

**სტამბოლი.** პორტა ირწმუნება საზავო მოლაპარაკების საქმე კარგად მიდის და შეიძლება 10 ენკენისთვისათვის ზავიც ჩამოვაგდოთო.

**მალისორები.**

**სტამბოლი.** მალისორთა მოძრაობა გაძლიერდა. ყოველ წუთს ესხმიან ჯარის სიმაგრეებსა. სკუტარის გზა მეამბოხეების ხელშია.

**სალონიკი.** სკუტარსა და დურაცოსთან მალისორების მოძრაობა ძალიან განძლიერებული. ოფიციალის ცნობით, დაიწყო საერთო აჯანყება. სკუტარის ვალი დეპეშით იუწყება, სკუტარი და დურაცო იძულებული იქნებიან დაჰნებდნენ, თუ ჯარი არ მიაშველეთ. ვალი დასძენს, მალისორებთან ბრძოლა ალბანელთა ბელადს რიზა-ბეის უნდა მივანდოთ, რომელიც ეხლავე უნდა მიეშველოს ოსმალეთის ჯარსაო. ეს კარგი საბუთია იმისა, რომ ალბანეთში ოსმალეთს ძალა აღარა აქვს.

**სოფ.** ვასკოვოში სერბიელებს ჟანდარმებთან შეტაკება მოუვიდათ. ოთხი კაცი მოუკლავი, ერთი დაუჭრიათ. სერბიელები მთებში გახიზნულან.

სკუტარიდან იუწყებიან, უკანასკნელ შეტაკების დროს მალისორებმა მოჰკლეს 26 კაცი, დასჭრეს 56 და 3 აფიცერი. მალისორებისათვის მოუკლავთ 118, დაუჭრიათ 97, ამათში 2 ჩერნოგორელი ყოფილა. დიდი შეტაკება მოჰსვლიათ ბერანშიაც.

აჯანყებულებს სამოსის კუნძული აუღიათ.

**ოსმალეთი.**

**სტამბოლი.** დაპატიმრებულ ნამინისტრალ ჯავიდსა და „ტანინის" ნარედაქტორალ ჯაჰიდს ძალიან ხშირად ჰნახულობდნენ და ამიტომ მათი ნახვა აკრძალეს.

**სომხის ეპისკოპოსთა ჩივილი.**

**სტამბოლი.** ვანის ოლქის სომხის ეპისკოპოსები პატრიარქთან სჩივიან, მთავრობას ღონისძიება არ მიუღია, ქურთებს სომხები არ აეწიოკებინათო.

**ჩინეთ-მონგოლეთი.**

**კულჯა.** ილიის მხრის ქონების საქმე ძალიან ცუდად არის. პეკინიდან დახმარების იმედი როდი აქვთ.

**კალკუტა.** ილიის მთავრობას დარჯილინგში ჩინელი ანფინი ჰყავს დაპატიმრებული. იგი ირწმუნება, ჩინეთის მთავრობის დავალებით დალაი-ლამასთან მივდივარო. მიუხედავად ამისა, ეჭვი აქვთ, ალბად იმისათვის არის გაგზავნილი—მონგოლეთი ტიბეთს შეუერთოს ჩინეთისავე საწინააღმდეგოდაო.

**ხორვატიელები.**

**აბაცია.** ხორვატელთა უფლების პარტიებმა და სლოვინების კლერიკალთა და სახალხო პარტიების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს დაარსონ ავსტრია-ჰუნგრეთის მთლად ხორვატელთა და სლოვენთა დეპუტატების ორგანიზაცია ტრიალიზმის განსახორციელებლად.

**სერბია.**

**ბელგრადი.** მთავრობა ამ დღეებში სახელმწიფოებს გადასცემს მემორანდუმს, რომელიც შეიცავს იმის გეგმას თუ როგორ მოიქცევა სერბია საქმის გართულება თუ მოჰხდა. ამავე დროს ოსმალეთს გადასცემენ მემორანდუმს და გააფრთხილებენ, თუ იგი დროზე ღონისძიებას არ მიიღებს ხალხის დასამშვიდებლად.

ამისთანასავე მემორანდუმს გადასცემს ოსმალეთს ბულგარეთი.

**მატარებლის დაღუპვა.**

**მარბეანი.** საბარგო მატარებელს სამგზავრო დაეჯახა. 30 კაცი დაშავდა, მემანქანე და თანაშემწე დაიღუპა.

უკანასკნელის ცნობების მიხედვით, მატარებლების დაჯახების დროს დაშავებულა 60 კაცამდე, ამათში 5 მძიმედ.

**სკუპჩინა.**

**ბელგრადი.** სკუპჩინას 10 ენკენისთვეს მოიწვევენ. ამბობენ, პირველად განიხილავენ პაშ-ჩის კაბინეთის მდგომარეობისა და არაჩვეულებრივ სამხედრო ბიუჯეტის დამტკიცების საკითხსა.

**რ უ ს ე თ ი**

**არჩევნები.**

**რიგა.** სახელმწიფო საბჭოს ამომრჩეველად სამღვდელოებაშ დეკანოზი პლისი აირჩია.

**ვილნა.** პოლონელთა საარჩევნო კომიტეტმა სახელმწიფო სათათბიროს სადეპუტატოდ სახალხო დემოკრატი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი ბანკოვსკის კანდიდატურა წამოაყენა.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** ქუთაისის დრამატიული საზოგადოების დასი დაიწყებს სეზონს ენკენისთვის 22 ქალაქის თეატრში, რომლის შეკეთებ-შელამაზებას შეუდგა გამგეობა. დასში ჯერ-ჯერობით შედიან ქ.ქ. ნ. ჩხეიძე, მ. მდივანი, ან. ჩირგაძე, მ. ქილარჯიშვილი, ლ. ღოღობერიძე, ანიკო ჩხეიძე, კ. რ—ძე. ბ.ბ. არადელი-იმნელი, არაბიძე, აპტალიდი, ამაშუკელი, გვარაძე, გელოვანი, გოგოლაშვილი, მგალობლიშვილი, მაჭარაშვილი, თალაკვაძე, შარაბიძე, დ. ჩარკვიანი.

რეჟისორი მ. ქორელი. სცენარიუსი ა. გუგუშვილი, სუფლიორები: ე. გურული, კ. რუხვიანიძე. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე. გამგეობას მოლაპარაკება აქვს ქ-ნ პიერეტასაგინაშვილის-ასულთან და კიდევ სხვებთან.

კვირაში განზრახულია სამი წარმოდგენა, ერთი სახალხო იაფ-ფასიანი. აგრეთვე გაიმართება იუმორისტიული და საბავშვო საღამოები, რისთვისაც მოწვეულნი იქნებიან კარგი სცენების და ლექსების მკითხველები. რადგანაც წრეულს დასი დიდი არის, გამგეობა ფიქრობს დრო გამოშვებით გამართოს წარმოდგენები ფოთში, სამტრედიაში, ხონში და ზესტაფონში.

რეპერტუარში შედის ყველა ახალი ორიგინალური და თარგმნილი პიესები.

რეპეტეციას დასი შეუდგება 10 სექტემბერს.

**ქართული დრამის სეზონი ტფილისში.** ქართული დრამის სეზონი ტფილისში დაიწყება 16 ენკენისთვეს დ. ერისთავის ტრადიციული „სამშობლოთი", რომელშიაც უმთავრეს როლებს შეასრულებენ ნ. დავითაშვილი და ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ამ ჟამად შემუშავებულია რეპერტუარი პირველ თვისა, ე. ი. 15 ოქტომბრამდე. ამ ხნის განმავლობაში გაიმართება 10 წარმოდგენა და ამათში 6 ახალი პიესა: ორი ორიგინალური „მთის ზღაპარი"—შიუკაშვილისა და „ოჯახის ბურჯი" დ. ნახუცრიშვილისა და 4 ნათარგმნი: „ანტიგონე" სოფოკლესი, „ევგინე" შირვანზადესი, „ზღვის პირად" ენგელისა და „კონცერტი" ძარისა. განმეორებული იქნება „მსხვერპლი" და „გამცემი" ი. გედევანიშვილისა. დასი უკვე სავსებით შემდგარია. დასში შედიან: ქ-ნნი დავითაშვილი, კარგარეთელი, ტ. აბაშიძე, გოგოლაშვილი, ქიქოძე, ლოლუა, ჯავახიშვილი, ჩერქეზიშვილი და შოთაძე და ბ-ნნი ალ.-მესხიშვილი, აბაშიძე, კ. მესხი, გუნია, გედევანოვი, შალიკაშვილი, ზარდალიშვილი, მგალობლიშვილი, მატარაძე, ციციშვილი, სარაული, აბდუშელი; თანასწორ უფლებიანი რეჟისორები ვლ ალექსი-მესხიშვილი და ვ. შალიკაშვილი; სცენარიუსები—ბერიშვილი და მაფორია და სუფლიორები—ბეგლარიძე და ვარვარიძე.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ დამიბეჭდოთ ეს ჩემი შენიშვნა თქვენ პატივცემულ გაზეთის დღევანდელ ნომერში (№ 693) დაბეჭდილ თქვენის შენიშვნისა გამო.

ამ შენიშვნით თქვენ ატყობინებთ თქვენ მკითხველებს, რომ „არ იცით რით ვხელმძღვანელობდი მე—რედაქტორი გაზეთ „ქართლისა" იაკობ ცინცაძე, როდესაც თქვენ კორესპოდენტს—წერილი არ დავუბეჭდე ბ-ნ თაბუაშვილისადმი".

მე ვხელმძღვანელობდი იმავე მოსაზრებით რა მოსაზრებითაც ხელმძღვანელობთ თქვენ, როდესაც ურჩევთ თქვენ კორესპონდენტს, „თავი დაანებოს შეკითხვების წერას"..

ჩემის აზრით იმ გვარ წერილებს ყოველთვის პროვოკაციის სუნი უდის და ყველას ლათაიებს რომ ყური ვათხოვოთ, ჩვენ პირდაპირ დანიშნულებას ვუღალატებთ. ეს კარგად უნდა სმენოდა თქვენს კორესპოდენტსაც!...

გაზეთ „ქართლის" რედაქტორი **იაკობ ცინცაძე**

ბატონო რედაქტორო!

ბ-ნმა ნ. ჩხიკვაძემ თქვენის გაზეთის მე-681—ნომერში ცილი დამწამა; ამიტომ გთხოვთ კეთილ ინებოთ და ამ ჩემის წერილით დამამტკიცებინოთ ჩემი სიმართლე. მე ბ. ჩხიკვაძეს არ ვცნობ და იმ პირთა შორის, რომელნიც ხაშურის გიმნაზიის დამხმარებელ კომიტეტში ითვლებიან, მე ამგვარი კაცი არ მახსოვს. ეს კი საბუთს მაძლევს ვიფიქრო, რომ იგი სხვის ნალაპარაკევს იმეორებს. ბ-ნი ჩხიკვაძე მეტის-მეტ ნდობით მოჰკიდებია ვიღაცას და იმასაც შეცდომაში შეუყვანია. დავიწყოთ „ოქმებიდან" ხაშურში ცნობილს კომიტეტს და მის მშობელს—„დროებით სამზრუნველოს საბჭოს" ჰქონდათ რაღაც დავთრები, რომელშიაც კომიტეტი ® მისი წევრები, რაც სურდათ, ჩასწერავდნენ ხოლმე. მე არ გამიკვირდება, თუ ამგვარ უკანტროლო დავთარში ისიც-კი ჩაიწეროს, ვითომც ჩემს მიერ დაარსებულს სასწავლებელში წერა-კითხვის და ანგარიშის მაგივრად ლანძღვა-გინებას და ცემა ტყეპას ასწავლიდნენ. ვინ უშლით? განა ამგვარი ოქმები რისამე დამამტკიცებელია?.. შეუძლებელია ამგვარ დავთარში ყველა ის იყოს ჩაწერილი, რასაც ბ. ჩხიკვაძე მოგვითხრობს. ხაშურის პროგიმნაზია 1908 წ. 10-ს ოქტომბერს გაიხსნაო. ეს ტყუილია. ხაშურში პროგიმნაზია ეხლა იხსნება და ხაშურის კერძო სასწავლებელს ამ წლის 1-ს მკათათვეს მიენიჭა უფლება მთავრობის პროგიმნაზიის სასწავლებლისა. აქამდე იგი იყო კერძო სასწავლებელი და ნებართვა მისი გახსნისა მივიღე მთავრობისაგან მე. ამ დაგვარად ხაშურის სასწავლებელი იყო კერძოდ ჩემი, შატბერაშვილის, სასწავლებელი. მმართველი და პასუხის მგებელი ამ სასწავლებლისა მე ვიყავი. ამის დასამტკიცებლად საკმარისი იყო ოფიციალური ცნობანი, რომელიც სამოსწავლო კანცელარიაში იმყოფება. ხოლო ამას არც ხაშურის კომიტეტი უარჰყოფს და 1911 წლის თავის ანგარიშში ამბობს: „ქ-ნ შატბერაშვილის სახელზე არსებული ხაშურის მეორე ხარისხის სასწავლებელიო". შატბერაშვილსა დაევალა. მარტო ნებართვის აღებაო ამბობს ჩხიკვაძე, კარგი „მარტოა", თქვენმა მზემ! თურმე ოქმში ყოფილა ჩაწერილი ის უცნაური ფაქტიც, ვითომც მე ხელწერილი მიმეცეს კომიტეტისთვის, უკეთუ ვაჰრუკანობას და სწავლის დღეს ქორწილებში წასვლას არ მოვიშლი, ნება ჰქონდეს კომიტეტს უჯამაგიროდ დამითხოვოს. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ასეთი რამ არ შეიძლება ოქმში იყოს ჩაწერილი? მერე, განა ძნელი მისახვედრია, რომ კომიტეტს ჩემი დათხოვნის არც უფლება ჰქონდა და არც სურვილი? როგორ შეიძლება შატბერაშვილის კერძო სასწავლებიდან შატბერაშვილის დათხოვნა? თქვენა სწერთ: „შატბეროომა (?) და ძმათა მათთა (ვინ არიან ეს „ძმანნი") ნივთები თავიანთ ფულებით გამოიწერეს და სამკაპიკიანი ნივთი ოთხ კაპეიკად ჰყიდესო". ტყუილია. მე არც წიგნები და არც ნივთები არ გამომიწერია და არც მიყიდნია. წიგნებს ჰყიდდა თვითონ კომიტეტი, ანუ კომიტეტის წევრი, იარლამ ძნელაძე, და ყველა ის, რასაც მე მახვევთ თავს, შეეხება კომიტეტს და მის წევრებს. კომიტეტმა თურმე ჩემს ქმარს ჩემთან სიარული აუკრძალა! ესეც... დიდი უცნაურობაა, მეტი რომ არა ვსთქვა. როგორ შეუძლიან კომიტეტს ქმარს ცოლთან სიარული აუკრძალოს? შემდეგ სწერთ, შეგირდებს სწავლის ფული გამოართვა და დამალაო. მერე ვინ? სასწავლებლის პატრონმა, სასწავლებლის მოპასუხემ, შატბერიშვილისამ, შატბერიშვილის სასწავლებელში შეგირდებს სასწავლებლის ფულები გამოართვა და მიითვისა, დამალა და გაფლანგა. ნუ თუ არ გესმით, რომ მე ჩემს სკოლაში შემოსულ ფულის მითვისება და გაფლანგვა არ შემეძლო? დიდად მოტყუებული ხართ იმაშიც, ვითომც მე კომიტეტის სასარგებლოდ სურამში სეირნობა გამემართოს, ფული დამემალოს. შარშანწინ ბ-მა მაჩაბელმა სურამში თავის სასარგებლოდ სეირნობა გამართა, ხოლო მე მიმიწვია „საპატიო მზრუნველ პირად". ცუდი ამინდი იყო და მაჩაბელს არაფერი შემოუვიდა, ასე რომ ბაღის პატრონს ფული ვერ მისცა. მე ვიკისრე ბატონ ნოდიას წინაშე ფულის გარდახდა, ამ ფულს მიჩიოდა იგი. არავითარი სეირნობა სასწავლებლის სასარგებლოდ არ გამიმართავს და ამიტომ სასწავლებლის ფულსაც ვერ მივითვისებდი.

ეკატ. შატბერიშვილისა.

## „ჟაკმენის სს" ახალი სითხის შესახებ. *)

ამა 1912 წლის 22 მაისის „სახალხო გაზეთის" № 604-ში ორი წერილია დაბეჭდილი ბ. გ. ლიონიძის და ჩივაძისა „ჟაკმენის" ახალი სითხის შესახებ. ბ. ლიონიძის წერილის გამოსვლა არ არის გასაკვირველი ის როგორც კერძო ინიციატივას მოკლებული ადამიანი და მთავრობის მოხელეების შემჩერე ამ შემთხვევაში მოიქცა ისე, როგორც მისგან მოსალოდნელი იყო. ყველამ იცის, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაშია ამ უკანასკნელ ხანებში მევენახეობა; განსაკუთრებით აუარებელი სხვა და სხვა ნაირი სოკოს ავადმყოფობისა და მავნე მწერების გაჩენა აიძულებს მევენახეებს ებრძოლონ სხვა და სხვა საშვალებებით, რომელიც ძლიერ ძვირი ჯდება და მასთან ყოველთვის სასურველ შედეგსაც არ იძლევა. ყოველ სოკოს ავადმყოფობასთან და მწერებთან საბრძოლველად განსაკუთრებითი საშვალებებია, რომლების მომზადება მხოლოდ გამოცდილ სპეციალისტს შეუძლიან. ამ ბოლო დროს აღმოაჩინეს საშუალება, რომელიც უცოდინარ ადამიანსაც კი საშუალებას აძლევს შედარებით მცირე ხარჯებით უწამლოს, თუ ყველას არა, უმრავლეს გამანადგურებელ ავადმყოფობებს მაინც. და აი ისეთი ინტელიგენტი პირი, როგორც ბ. ლიონიძეა ვერ ბედავს იყიდოს ორი გირვანქა ან მეტი ეს ახალი საშუალება და თვითონ გამოსცადოს ერთს ან ორ წელიწადს და დარწმუნდეს სასარგებლოა ის თუ არა? ვურჩევ განსაკუთრებით სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს ქუთაისის გუბერნიაში, რომ გამოსცადონ ეს ახალი საშუალება. ბ. ჯანელიძე კი ჩემივე თხოვნით უსასყიდლოდ აძლევს „ჟაკმენის სითხეს" საცადელად. სხვათა შორის ქუთაისის გუბერნიაში ცნობილმა დამყნილი ვენახების მწარმოებელმა, ბ. ჩივაძემ წაიღო ბ. ჯანელიძისაგან ზემოხსენებული ახალი სითხე „ჟაკმენისა" საცდელად. ჩვენ მოველოდით, რომ ის მოიქცეოდა როგორც ყოველი ინტელიგენტი და კეთილ სინდისიერი ადამიანი, რომელსაც პირადი სარგებლობის გარდა საზოგადო საქმეც აინტერესებს. ბ. ჩივაძეს ჯერ უნდა ეცადა ეს ახალი საშუალება და მერე გაილოქვეყნებია თავისი აზრი. აი ამისთვის გაუგებარია მისი წერილის უმეცარი და უზრდელი კილო. ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილ „ჟაკმენის" ახალი სითხის ბროშიურიდან ცხადად სჩანს, რომ უკვე ხუთი წლის განმავლობაში „ჟაკმენის" ახალი სითხე დიდ ხმარებაშია ყველა დასავლეთ ქვეყნებში და თვით საბერძნეთში, ბოლგარიაში და რუმინიაში. ეს საშუალება სამიწად-მოქმედო დეპარტამენტის სამოსწავლო კომიტეტმა სცადა ყირიმის ვენახებზე, მე კი სამი წელია, რაც ვხმარობ ქუთაისის გუბერნიაში. როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში აღმოჩნდა „ჟაკმენის სითხის აუცილებელი ღირსებები და სარგებლობა, რისთვისაც სამიწად-მოქმედო და ფინანსთა სამინისტროებმა ნება დართეს ჟაკმენის სითხის უბაჟოდ შემოტანისა. თავისთავად ცხადია, რომ ჟაკმენის სითხის ასეთი გავრცელება ევროპის მევენახეობის ყველა რაიონებში აიხსნება მისი ღირსებებით, რომელშიაც დარწმუნდნენ მევენახეობის საქმეში გამოჩენილი სპეციალისტები და აგრონომები, სახელდობრ: საფრანგეთის მევენახეობის საზოგადოების და ამპელოგრაფიის თავმჯდომარე პროსპერი ჟერვე, მონპელიეში მევენახეობის სასწავლებლების და სხვა ეროვნულ სასწავლებლების პროფესორები: რავაზი, პაკოტე, ბალლი, გილიონი, დიუკონე, ლანიერი, დონონი და სხვები. საგუბერნიო აგრონომები: როზერე, კონვერნი, ფონდარი, ბელლი, შაპაზი, დიუპონი და მორენი. მიწადმოქმედების პროფესორები: ფოსსი, ბონე, ბელლე, ბონეფონი, გარრაპონი, გე, კოლლასი, გივრე, ლეჟე და სხვანი, გამოჩენილი სპეციალისტები და თანამშრომლები: აბბატ უვრე, ანტელენი, გილლეპარი და სხვ. ბოლგარიაში სამეფო ვენახების დირექტორი ბ. გრანკოვი და მრავალი მევენახე სპეციალისტები, დიდი ბაღების პატრონები, მსხვილი მამულების მმართველები და ყველა რაიონებში კერძო აგრონომები და მევენახეები. ყველა ზემოხსენებული პირები, რომელთაც უმაღლესი ოფიციალური ადგილი უჭირავთ მევენახეობის საქმეში, ამტკიცებენ, რომ ჟაკმენის სითხე ძლიერ სასარგებლო საშუალებაა როგორც ჭრაქისა და ნაცრის, ისე გრეი-როტის, ბრაუნ-როტის და უაიტ-როტის წინააღმდეგ, ესე იგი ჭრაქის სპეციალური ფორმის წინააღმდეგ, რომელსაც განსაკუთრებითი ვნება მოაქვს როგორც თითო ისე მოზრდილი ყურძნის მტევნებისთვის; ამტკიცებენ აგრეთვე, რომ საუკეთესო საშუალებაა ანტრაკნოზისა და მწერების წინააღმდეგ და რომ ის (ჟაკმენის სითხე) ასველებს ფოთლებსა და მტევნებს უკეთესად, ვინემ ბორდოს სითხე და მასთან შაბიაბანით წამლობაზე უფრო იაფი ჯდება. გარდა ამისა ზოგიერთმა პირებმა სცადეს ჟაკმენის სითხით წამლობა ხეხილების, მწვანეულობის, კართოფილის, ყვავილების და სხვა მცენარეების და ამტკიცებენ, რომ ცდას მშვენიერი შედეგი მოჰყვა. ზოგი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ ჟაკმენის სითხე კარგად მოქმედებს კოშილისის—ან ვენახის მატლის—წინაბლმდეგ და თვით ფსხიტის (кровяная тля) წინააღმდეგაც, რომელიც საშინელი განმანადგურებელი ჭირია ვაშლის ხისა და რომელიც ვერ უძლებს ჟაკმენის სითხეს, თუ თავის დროზე უწამლეს.

ყველა ამის შემდეგ ცხადია, რომ ბ. ჩივაძე დაეძებდა რაღაცა სხვა საშუალებას, რომელსაც სარგებლობის მაგიერ დიდი ზარალის მოტანა შეეძლო მევენახეობისათვის განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში. ბ-ნ ჩივაძის აზრით ადგილობრივ პირთა ერთი წლის გამოცდილებასა და დაკვირვებას ჟაკმენის სითხის შესახებ არავითარი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს. ჩემი ფიქრით კი ყველა ზემონახსენები სპეციალისტებისა და აგრონომების და ისეთი კომპენტენტურ დაწესებულების, როგორიც არის მიწადმოქმედების დეპარტამენტის სამოსწავლო კომიტეტი, აზრი ბევრად უფრო საყურადღებოა, ვიდრე ისეთი „ავტორიტეტი" პირისა, როგორათაც თავის თავი მიაჩნია ბ. ჩივაძეს. ტყუილად ცდილობს ბ. ჩივაძე დაამტკიცოს, რომ ჟაკმენის სითხე, როგორც შაბიანი მოქმედობს მარტო იმ ადგილებზე, სადაც სითხის წვეთები ეცემა. ყველა ბაღის ფლობელმა დ თვითეულმა გლეხმა კარგად იცის, რომ „ახალ გამოსულ ფოთლებს" ისევ ხელახლა უნდა ეწამლოს. თვით ჟაკმენის ბროშიურაში გარკვევითაა ნაჩვენები, როგორ და რა დროს უნდა მეორედ და მესამედ წამლობა. ბ. ჩივაძე სწერს, რომ ჟაკმენის სითხით წამლობა უნდა შინჯოთ 3—5 წლის განმავლობაშიო. სრული სიმართლეა. მე კი სამი წლით ადრე, ვინემ ხალხს ვურჩევდი, ვცადე ჟაკმენის სითხე. ბ. ჩივაძის აზრი, რომ ორი გირვანქა სითხით არ შეიძლება მიიღოთ რაიმე გამორკვეული შედეგიო, ეპატიება მხოლოდ ისეთ ადამიანს რომელსაც არავითარი ცოდნა და გამოცდილება არა აქვს მევენახეობის საქმეში. ბ. ჩივაძე სწერს, რომ ჩემ ბროშიურაში წინააღმდეგ ბ-ნი ჟაკმენის [illegible] თითქოს განგებ ვურჩევდე კირის შემატებას ჟაკმენის სითხეში მუშტრების მისაზიდავად და მასთან არ არის ნაჩვენები აუცილებელი გაფრთხილება, რომ არ უწამლონ დიდი სიცხის დროს ძლიერ ნაზი ვაზის ჯიშებს. აი ჩემი პასუხი ამაზე: 1) ჟაკმენის ბროშიურაში ფრანგულ ენაზე მე-19 გვერდზე ნათქვამია: „თუმცა შესაძლებელია სითხის ხმარება კირის ან სოდის მიუმატებლად ზემოთ ნაჩვენები პროპორციის თანახმად წყალში შერევით, მაგრამ ჩვენ ვურჩევთ მიუმატონ არა ნაკლებ 100 გრამისა კირი ან 250 გრამისა სოდა ერთ ლიტრ სახმარებლად გამზადებულ სითხეს. რათა კარგად დააჩნდეს ფოთლებს და სხვა და სხ.". ჩვენ კი დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ ეს ზომა არადროს არ გაადიდონ 2) ჟაკმენის ბროშურაში მე-19 გვერდზე ნათქვამია: „ამერიკულ, პირ და პირ ნაყოფიერ ვაზებზე, როგორიცაა ოტელო, ნოა, გერბემონი და სხ. მეტად ძლიერ მოქმედებს გოგირდ მჟავის მარილი და ითუთქება ფოთლები გოგირდის მიყრის დროს, მაგრამ სრულიადაც არ სწუხდება UU სითხისაგან, თუ დიდ სიცხეში არ უწამლებთ, როდესაც მზე მეტად ახურებს ე. ი. დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე". მაშასადამე ჟაკმენის სითხე შეადგენს ძვირფას საშუალებას ამ ვაზების დასაცავად ნაცრისაგან. აშკარაა, ბ. ჩივაძეს ზემოდ მოყვანილი შენიშვნა განგებ გაუკეთებია, რომ ბაღის მეპატრონეებს და მევენახე გლეხებს შინებოდათ „ზოგიერთი ჯიშის ვაზების" დათუთქვისა, მაგრამ ბ. ჟაკმენის სიტყვებიდან ნათლად სჩანს, რომ აქ „ზოგიერთ ჯიშის ვაზებზე" კი არ არის ლაპარაკი, არამედ სრულიად სხვა ჯურის ვაზებზე, რომელმაც კარგადაც იცის მათი წამლობა. აი, ამიტომ ამის შესახებ არავითარი იყო ნახსენები ბროშიურაში. პირველ საპასუხო წერილში, რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ არ დამიბეჭდა კიდევ ბევრი დამამტკიცებელი საბუთები მქონდა იმისი, რომ ბ. ჩივაძის აზრი ჟაკმენის სითხის შესახებ იყო ზერელე და უმართებლო, წინასწარ ბოროტ განზრახვით შედგენილი, მე კი ნათლად ვამტკიცებდი ამ ახალი საშუალების დიდ სარგებლობას მევენახეობის საქმეში, რომელიც ახლაც მზათავარ გავუზიარო ყველა დაინტერესებულ პირს. ახალ კი საცენზურო კომიტეტის განსაზღვრული პირობების თანახმად აქ უნდა შევჩერდე. თუმცა ჩემის აზრით ისიც საკმარისია, რაც ზემოთ აღვნიშნე ჩემი კეთილ სინდისიერების დასამტკიცებლად და ბ. ჩივაძის ცოლის წამებისაგან თავის დასაფარავად. რაც შეეხება მის სიტყვებს „ვიმეორებ, რომ შესაძლებელია, ჟაკმანის სითხე ძლიერ კარგი საშუალება იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გავრცელება ისეთი პირების ხელშია ჩავარდნილი, რომ, როგორც სჩანს, მათთვის ნივთიერ მხარეს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინემ მოტანილ სარგებლობასო", ამაზე ძალა უნებურათ სხვა ადგილას უნდა ვუპასუხო, სადაც საძნელო არ იქნება დამტკიცება იმისი, რომ თუ ბ. ჯანელიძეს, როგორც ჰქვიან ვაჭარს, უყვარს გროშები, და მეც როგორც გამოცდილი, მაგრამ ხელმოკლე მევენახე არ გავურბივარ ფრანკების შოვას, ბ. ჩივაძეც, როგორც გამოცდილი მაწარმოებელი, გულმოდგინეთ მისდევდა და დღესაც მისდევს ფულებს—phouitbs. ბ, ტიებო.

*) იბეჭდება შინაარსის შეუცვლელად საცენზურო კომიტეტის განკარგულებით, საცენზ. დებ. მე-114 მუხ. მე-12 დამატებ. ძალით. № 1856.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.


## განცხადებანი

სილამაზე უმაღლეს ხარისხამდე!

№ 4711
ვარდის ფერი ბროლის
=საპონი=
კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, განწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.

ფერდ. მიულგენსი.
პარფიუმერია № 4711.
კიოლნი ნ. რ. რ ი გ ა.
დაარსებული 1792 წ.




ერთი ნაჭერი 2 კ.
ყველგან იშოვება

Мотцл. 30:286 309266

(10.1433.2)

# აფთიაქი

ახლად გაღებული—შუაგულ კახეთში, ს. **წინანდალში**—იძლევა იჯარით. ცნობებისთვის მიმართეთ: ტფილისი, მიხეილის პრ., № 144 შნეიდერის აფთიაქს. (3.658.1)

---

**პეტერბურგის კონსერვატორიაში** სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

## ე. გ. ქიქოძისა აძლევს მუსიკის (როიალი) გაკვეთილებს.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11. (23.651.5)

---

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

---

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ — 11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ე. ნ. **ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.** (წ. 1078.209)

---

## უფლებიანი სავაჭრო სკოლა და საბუღალტრო კურსები

**ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა**

საკომერციო ცოდნათა გამავრც. საზ. ს.-პეტერბურგის უმაღლეს საკომერციო კურსების პროგრამითა.

სწავლა 15 ენკენისთვეს დაიწყება. მიხეილის პროსპ. ს. № 53. (4.662.2)

---

**გამოსულია და იყიდება**

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

| | | | |
|---|---|---|---|
| I ტ. | „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ | ფასი | 75 კ. |
| II „ | „ჩვენი საზოგადოებრივობა“ | „ | 80 კ. |
| III „ | „ნააზრევი“ | „ | 65 კ. |
| IV „ | წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | „ | 85 კ. |

---

შეუშხეუნა **„ჩვენი გემო“** კვასი

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან, კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაჰკარგა და ეს არ უნდა მოგვსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ **„ჩვენი გემო“** და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადუღი წყლიდან დამზადებული პურის კვასი მოითხოვონ ყველგან **„ჩვენი გემო“** და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე და ამხანაგობა.**

მისამართი: სუდებნი ქუჩა სახლი № 6. (2.1096.2)

---

**ავადმყოფებს და სუსტებს**

## „სპერმატინი“

დამზადებულია ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში, ექიმებისა და ფარმაცევტების მეთვალყურეობით. **„სპერმატინის“** გამოგონება ეკუთვნის დიდებულ ფრანგ პროფესორს ექიმ **ბროუნ-სეკარს.** მან, 76 წლისამ თავის თავზე გამოსცადა ამ წამლის გადამხალისებელი და ჯანის გამმაგრებელი გავლენა.

მას მერე მკურნალებმა დაადასტურეს, რომ **„სპერმატინი“** უებარი წამალია: მოხუცებულების სისუსტისა, სისხლნაკლებისა მძიმე ავადმყოფობისა, ნერვებ აშლილისა, გონებისა და სხეულის მოქანცულობის, სქესობრ. მოჭარბებისა, ჯანის გატეხისა, დამბალ ციებისა, ძარღვების მოდუნებისა, ხერხემლ. ტვინის გახმობისა, სიდამბლისა, კალთობიდან ჩამოვარდნის, წყალმანკისა, გულისფრიალისა შაქრის ავადმყოფობისა, ქარებისა, ათაშანგისა, ლოთობისა, ყაბზობისა, ქლექისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა და სხვ.

1 შუშა ღირს 2 მ. 40 კ. ტაბლეტ—2 მ. 75 კ. ფასდადებითაც შეიძლება დაბარება. აფთიაქებს და საათფ. საწყ.—ფას-დაკლებით. გასაგზავნს დამბარებელი იხდის. იყიდება კავკასიაში მთავარ წარმომადგენელთან—**ი. ახობაძე და ამხ“.** ტფილისი, ლორისმელიქოვის ქუჩა, სახლი № 6, ეზოში. (50—661—3)

**შინაგ. საქმ. სამინისტ. ნებადართ. (1907 წ. № 9696)**

---

# ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. (100—1231—35)

---

# ვკისრულობ

1. დაგირავებას და გადაგირავებას უძრავ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში. 2. უძრავ ქონებათა ყიდვა-გაყიდვას. 3. მადნეულობის გამოკვლევას და შემუშავებას. 4. ყოველგვარ ქაღალდის შედგენას. 5. ხე-ტყის მასალის მსყიდველის და გამსყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღ. მოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ პროსპ.**, სახლი **მანთაშევისა,** სასტუმრო „უნივერსალი“, № 2, ტელეფონი № 499.

(25.659.2) **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე**

---

**გ. და მ. ტერ-დავიდიანცის**

## საბუჰალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—20)

---

**სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წ ა მ ა ლ ი**

**„SALO—პიჩილინი“**

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე შევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая № 7 аптека Г. Конгейма. იგზანება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად საათიაქო საწყობებში. Метцль 23672. (წ.1161.21)

---

**!!! გ რ ც ხ ვ ე ნ ო დ ე თ !!!**

თქვენი ტანისამოსი სულ ლაქებშია მოთხვრილი, მაშინ როდესაც შეიძლება სრულებით გაიხლოთ მხოლოდ იყიდეთ ლაქის ამომყვანი **კ რ ე მ ი**

АВТОМАТИЧЕСКІЙ ПЯТНОВЫВОДНЫЙ КРЕМЪ „ЧУДОДѢЙ“ ЛЮДВИГА КЕРІЯЙНЪ БЕЗЪ ТРУДА МЫТЬЯ, ЩЕТОКЪ И ЗАТРАТЫ ВРЕМЕНИ ц. 20 и 35 к. ВЫВОДИТЪ ВСѢ ПЯТНА ИЗЪ ЛЮБОЙ ТКАНИ

**ყოველთვის სუფთად იქნებით.**

იყიდება მხოლოდ კავკას. საათიაქო საქონლით მოვაჭრე ამხ. მაღაზიებში: ტფილისში, ბაქოში და ბათომში. (10.125.9)

---

**გამოსულია და იყიდება**

## ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

---

**გამოსულია და იყიდება**

## ი. გედევანიშვილის პიესა „მ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

---

# ცინკოგრაფია

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ**

## კლიშეების დამზადებას,

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.34)

---

**არ გაგონილა! მხოლოდ 2 მან. 95 კაპ.**





ვგზავნით აქ ჩამოთვლილ ძვირფას 14 ნივთს: მშვენიერ მკვიდრ უბის საათს კაცთათვის — „ანკერ“ (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ-ფოლადისა. იმართება თავით 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალა აქვს, 15 ქვიანია. 2. ქალთ. საუცხოვო ყელის ძეწკვი, ახალი ფასონისა. 3. ბრელოკი - კინემატოგრაფი კომპასით, ან საუცხოო სანახავებით. 4. ზამშის ბუდე საათისათვის. 5. მოხდენილი ბეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე“, პარიზულის ქვ თ. 6. სთეატრო ბინოკლი 4 ახრომატიულ შუშით ჩვეულებრივ ზომისა, რომელიც დიდის მანძილიდან აახლოვებს საგნებს. 7. საათის უზრუნველმყოფელი ქურდებისაგან. 8. პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელია სხვა და სხვა სანახაობისა. 9—14 ექვსი მეტის-მეტად საგულისხმო სურათი. სულ ეს ღირს მხოლოდ 2 მ. 95 კ., ორი წყება 5 მ. 50 კ., 4 წყება—10 მ. 50 კ. ესენივე სახურავიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს.** ხსენებული წყება საათითა და ნივთებით საუკეთესო ღირსებისა და უმაღლესი ხარისხისა—3 მ. 95 კ., ორი წყება—7 მ. 40 კ. გასაგზავნი ორ წყებამდე—40 კ. (ციმბირში 75 კ.) საათსა ვგზავნით შემოწმებულ-შესწორებულს წუთი-წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ. მ ი ს ა მ ა რ თ ი:

Т-ВО „ЗАРЯ“ ВАРШАВА, ОТД. 116.

ეს მისამართი ამოსჭერით და კონვერტს ან ღია წერილს დააკარით.

Метцль. 44387. (2.1460.2)

---

**ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი**

## ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები და კომერციული ანგარიში

## ი. ფ. კალატნიკოვისა,

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყება.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტრიისა და სააღებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) 2) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ სააღებ-მიცემოს, საბანკოს, საქარხნოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისას. 2 საკომერციო არითმეტიკას, 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) სააღებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე. 7) ლამაზად და სწორ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე სააღებ-მიცემო მიწერ-მოწერას,

**რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.**

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. (25—1447—9)

---

**ი ნ ჟ ე ნ ე რ ი**

## ი. ს. კონდოევი

**ტფილისი. ელისაბედის ქ., 164. ბაქოს ქ. კუთხე.**

**ც ე მ ე ნ ტ ი** ასფალტი, გუდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „заклейки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

**რკინის კოჭები, საქვაბე რკინები, საკუთხე რკინები, სახურავების რკინები.** (შავი და ცინკნარევი).

ტელეფონი: კანტორისა 10—93, აგურხანისა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაგზე. (25.1474.4)

---

## ე. ა. ცატუროვის დეპოში

**შპალიერი**

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი

რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.

**ფასები** 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.** (40—1400—18)

---

**ხელოვნურად შეზავებული**

## სამკურნალო და ხილეულობის წყალი მიტროფანე ლაღიძე და ამხ-სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში – პუშკინის ქუჩა № 6.** (25.1407.11)

---

# ხელოვნური ყინული

სუფთა მილის წყლიდან დამზადებული იყიდება

**ფ. კ. ვეტცელის მემკვიდრეთა**

ლუდის ქარხანაში, ახალ ნიხრამდე ფუთი ოთხ შაურად. ვეტცელის ლუდის მუდმივ მუშტრებს შესამჩნევ ფას დაკლებით ეძლევათ. (3.1489.2)

---

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:**

| | |
|---|---|
| ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი 50 კ. | მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . . 35 |
| გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი . . . . . 85 „ | მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ქიქ. 20 |
| მოძრავი ანბანი—კარდონზე 30 „ | ფიზიკური გეოგრაფია . . 20 |
| ანბანი კუბიკებზე . . 1 მ.— | ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ. 50 |
| წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, . . . . . 50 „ | ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ სწავლება სალვთო სჯულზე, ყდ. 30 |
| წყარო, იმსავე, ანბანი და პირველ საკითხავი . . . 25 „ | ახალი ალთქ. სამღ. ისტ., მისივე 40 |
| არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით . 40 „ | ძველ. აღქმ. სამღ. ისტ. მისივე 50 |
| იგივე ნაწილი II, ყდით . 50 „ | **ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა** წყვილი . . . . 5 |
| მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია 35 „ | ათასამდე ყოველი ასის ფასი 2 მ. 40 |
| | ათასზე მეტი ყოველი ასი 2 მ. 30 |

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1141.11)

---

**სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

## ნ. ვ. აბრაამიანის საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

**ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.**

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 სექტემბერს, 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები,** სტენოგრაფია და რემინგტონ. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ თხოვნები მიიღება ყოველ დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს; ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1450 7)

---

## იმერული შამპანიური ღვინოები,

**ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში,

**„კ ო ლ ხ ი დ ა“ და „თ ა მ ა რ ა“**

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

**1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში და**

**2) მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერულავშვილის ღვინის საწყობში.**

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37.166.30)

---

მიიღეთ მარიამობისთვის

შვედური და დელიკატესნი კილკები.

**თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

ბოჭკის საუკეთესო **ხიზილალა,**

**გირვანქა 1 მ. 60 კ.**

აგრეთვე მოგვდის ცოცხალი **ლოქო** და **კობრი,** საზანი.

(წ.1131.249)

---

## 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

## „ნაკადულ“-ზე

**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Готовинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ აბვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** გ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1393—104 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**